პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 115 (19856) ოთხშაბათი, 20 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დაიდგა ახალი ღუმლები

არჩევნებისწინა ვასტზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.) ფეროშენადნობთა ქარხანაში სხვა სამუშაოებთან ერთად რეგულარულად ხორციელდება სადნობი ღუმლების რეკონსტრუქცია-განახლება. დასახული პროგრამის თანახმად და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 2 საამქროს რეკონსტრუქციის შესახებ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის ბრძანებით № 13 და № 14 ღუმლები ახლით უნდა შეცვლილიყო, ამასთან უნდა დამონტაჟებინათ ნადნობის ჩამოსასხმელი მანქანა, გაეახლებინათ ელექტროხიდური ამწეები და კაბმის მიწოდების ხაზი.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ზესტაფონის სპეციალიზებული სამმართველოს (უფროსი რ. ჩინჩალაძე) კოლექტივის ძალებით დაიწყო. საქმეს ხელი მოჰკიდეს მიმდინარე წლის ორ თებერვალს იმ ანგარიშით, რომ 60 დღეში დაამთავრებდნენ მას. უნდა დანგრეულიყო ორივე ღუმლის სახურავი და სხვა.

დავალება ოთხი დღით ადრე შესრულდა. განახორციელეს ორი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. უფრო კონკრეტულად, მშენებლებმა შეასრულეს 2240 კუბური მეტრი მიწის, 915 კუკუბური მეტრი ბეტონის, რკინაბეტონის და მოლითონებული წიდის დანგრევის სამუშაოები. განხორციელდა ლითონკონსტრუქციებისა და მოწყობილობების დემონტაჟთან დაკავშირებული კოლოსალური მოცულობის სამუშაოები. რეკონსტრუქციის შედეგად თითოეული ღუმლის სიმძლავრე 3,5-დან 5 მეგავოლტამპერამდე გაიზარდა. ახალი ტიპის ღუმლები ავტომატურად იმართება, შეიქმნა დახურული ზონდი და ავტომატური დოზირების ზუსტი სისტემა, შეიცვალა ფაზების გადაადგილების მექანიზმი, ცხელი მოცდენები 4,5 პროცენტიდან 1,5 პროცენტამდე შემცირდა, ამავე დროს შემცირდება გამოსხივების ზონა და დამტვერიანება, გაუმჯობესდება მუშათა პირობები, 30 პროცენტით გაიზრდება წარმოების მოცულობა და შრომის ნაყოფიერება, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის მრავალმა ზესტაფონელმა მეტალურგმა ახალი, გადიდებული ვალდებულება იკისრა.

გარდაქმნების სასწავლო წელი

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „უნიტას“ რედაქციის კითხვებზე

ეს ესპუბლიკის მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში დიდგა მეტად პასუხსაგები პერიოდი — დღეს დაიწყო და თვის ბოლომდე გაგრძელდება შემაჯამებელი მეცადინეობები.

კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამჟამად პარტია მშრომელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ განათლებას, მოწინავე რევოლუციური თეორიით კადრების შეიარაღებას, სკკპ XXVII ყრილობის სახელმძღვანელო გადაწყვეტილებების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და გარდაქმნის შესაბამისად ადამიანთა შეგნების ჩამოყალიბებას.

საბჭოთა კომუნისტთა XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და იანვრის პლენუმების ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილებების სულისკვეთებით გამსჭვალულმა გადაწყვეტილებებმა მუშაობის არსებითი და უფრო გაუმჯობესება-გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა საერთოდ იდეოლოგიური დარგი და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი — მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემა.

ამ მხრივ გარდაქმნის აუცილებლობა კი, უწინარეს ყოვლისა, გამოიწვია იმან, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემა ჩამორჩა დროის მოთხოვნებს, ვერ უპასუხებდა დღევანდელობას და ამდენად, ცხადია, მთლიანად ვერ ასრულებდა დაკისრებულ მეტად პასუხსაგებ მოვალეობას.

ამიტომაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა „1986-87 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ შარშან მიღებულ დადგენილებაში საზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სწავლება მოვაწყოთ ისე, რომ იგი მიმდინარეობდეს ცოცხლად, საგნობრივად, სრულად ითვალისწინებდეს მსმენელთა შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის სახეობათა, მათი განათლების, სოციალური გამოცდილების დონეს. პარტიის მიერ შემუშავებული ნოვატორული მიდგომის ათვისება უნდა ხდებოდეს საქმიან, შემოქმედებითს ატმოსფეროში, ცხოვრების ყველა აქტუალურ საკითხზე დაინტერესებული აზრის გაზიარების საფუძველზე, იმ პრაქტიკულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირით, რომლებსაც წყვეტენ შრომითი კოლექტივები, მთლიანად საზოგადოება. ენერგიულად უნდა განვთავისუფლდეთ ფორმალიზმის, სქოლასტიკისა და აბსტრაქტულობისაგან, რომლებიც მსმენელებს უნელებს სწავლის ინტერესს, აქვეითებს მის ეფექტიანობას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საჭიროდ და აუცილებლად ჩაითვალა, რომ მიმდინარე სასწავლო წელი მოხმარებოდა ექსპერიმენტების მოწყობასა და სწავლის ორგანიზაციისადმი თანამედროვე მიდგომის აპრობაციას, მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის სისტემაში პერსპექტიული სტრუქტურული ცვლილებების განსაზღვრას.

ეს უკვე სისტემაში ყველაზე არსებითი, მართლაც რევოლუციური გარდაქმნების დაწყების ნიშანი იყო. და ამითაც არის ამგვანდელი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საუბილეო წელს მიმდინარე სასწავლო წელი ადრინდელთაგან აშკარად გამორჩეული და მნიშვნელოვანი.

აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთაში, ხერიოზული მუშაობა გაჩაღდა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის ფუნქციონირების გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის. ყველგან ეწყობოდა „მრგვალი მაგიდები“, იმართებოდა შეხვედრები, საუბრები, სხვა ღონისძიებები, რომელთა მონაწილენი საფუძვლიანად აანალიზებდნენ, საგნობრივად განიხილავდნენ არსებულ მდგომარეობას, აყენებდნენ მისი გაუმჯობესების, უკეთ მუშაობის კონკრეტულ, საქმიან წინადადებებს.

ბევრგან დაიწყო ექსპერიმენტები. მათ შორის აღსანიშნავია ნამოწყება, რომლის მიზანი იყო სწავლების იმგვარი ორგანიზაცია, რომელიც კომუნისტებს საშუალებას მისცემდა შეესრულებინათ პარტიის საწესდებო მოთხოვნაც — დაუფლებოდნენ მარქსისტულ თეორიას, სისტემატურად აემაღლებინათ პოლიტიკური ცოდნის დონე და ამავე დროს, როგორც სამეურნეო მუშაკებს, შეეძინათ მათთვის აუცილებელი ეკონომიკური ცოდნა, ანუ ერთდროულად აემაღლებინათ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ცოდნის დონე. საამისოდ შემუშავდა ერთიანი კომპლექსური პროგრამები, რომლებშიც მსმენელთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით შეტანილი იყო აქტუალური პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები.

იმისათვის, რომ სრულად წარმოჩენილიყო ექსპერიმენტის ავ-კარგი, ყველა უარყოფითი თუ დადებითი მხარე, მისი მოწყობის ადგილად სპეციალურად შეირჩა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, საწარმო, რომელიც წლების მანძილზე ჩამორჩენილთა რიგებში იყო. ექსპერიმენტის პირველი შედეგები საგულისხმო და დამაიმედებელია, რაც საქმის მდგომარეობასაც სასიკეთოდ დაეტყო (აქაურ მშრომელთა პრაქტიკულ საწარმოო საქმიანობასა და მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში მოპოვებულ წარმატებებზე, მათი მიღწევის გზებზე ამ დღეებში უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ „კომუნისტის“ ფურცლებზე).

მაგრამ ამ მხრივ მუშაობა ბევრად უფრო აქტიური და მიზანსწრაფული გახდა მას შემდეგ, რაც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა პროექტი.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელსაც ახლა ყველგან დიდი გულისყურით სწავლობენ და განიხილავენ, ბევრი სხვა არსებითი ხასიათის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად უწინარესად სწავლების შინაარსის განახლებას, მისი ლოგიკის შეცვლას, იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებას, ორგანიზაციისა და სტრუქტურის გაუმჯობესებას, ყველაზე თანამედროვე, პროგრესული მეთოდების დანერგვას, ამ მხრივ არსებული ხერიოზული ნაკლოვანებების, განსაკუთრებით ფორმალიზმის აღმოფხვრას, სწავლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლას გულისხმობს...

და რაც მთავარია, სისტემის გარდაქმნის ძირითადი არსია არა უბრალოდ თუნდაც ძალზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, არამედ სწავლების შინაარსის ძირეული შეცვლა-გაუმჯობესება, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა გაღრმავებული და პრაქტიკასთან დაკავშირებით შესწავლა. დაიხვეწება სწავლების ორგანიზაცია და სტრუქტურა, აღმოიფხვრება მისი ფორმებისა და შესასწავლელი საგნების საქმის სახიანი მრავალფეროვნება.

კერძოდ, აქამდე მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში ისწავლებოდა 120-მდე საგანი, რომელთა სრულყოფილი შესწავლა-ათვისება მსმენელებს, ცხადია, უძნელდებოდათ. პროექტით კი გათვალისწინებულია საგნების რაოდენობის ოცდასამამდე შემცირება. ამასთანავე გაუქმდება ახალგაზრდა კომუნისტთა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, მეცნიერული კომუნიზმის და პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლები. სწავლების პროცესში ერთმანეთს უფრო შეერწყმის პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, რაც მსმენელებს საშუალებას მისცემს უკეთ და საფუძვლიანად დაეუფლონ პოლიტიკისა და ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს და სხვა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში მილიონ 231 ათასი კაცია გაერთიანებული, რომელთა სწავლებას 47 ათასამდე პროპაგანდისტი ემსახურება. ეს დიდი ძალაა, რომლის გონივრული ხელმძღვანელობა-წარმართვა ძალზე სახიეთოდ წაადგება საქმეს. ამიტომაც საჭიროა, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა, რომლებიც საფუძვლიანად ემზადებოდნენ შემაჯამებელი მეცადინეობებისათვის, ყოველი ღონე იხმარონ მათი ორგანიზებული და მინაარსიანი, სრული გულისხმიერების, საჯაროობის, საქმის სახარგებლო პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში მოწყობისათვის.

შემაჯამებელ მეცადინეობებზე შესასწავლ თემაზე საფუძვლიან მსჯელობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბევრ ადგილებზე არსებულ კონკრეტულ ვითარებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის კიდევ ერთხელ ყოველმხრივ განხილვა-შესწავლას, ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას, ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების ძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობს დღევანდელობის, ძირითადი მიმართულებების პროექტის მოთხოვნათა გათვალისწინებით მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის შუამაობის გარდაქმნას. ეს უნდა იყოს ამ დღეებში ყოველი პარტიული ორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა.

ამ ცოტა ხნის წინათ იტალიის კომპარტიის გაზეთ „უნიტას“ რედაქციამ მ. ს. გორბაჩოვს სთხოვა ინტერვიუ.

18 მაისს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრი, გაზეთ „უნიტას“ მთავარი რედაქტორი ამბ. ჯ. კიარომონტე, მთავარი რედაქტორის მოადგილე ამბ. რ. ფოა და გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი ამბ. ჯ. კიეზა და გადასცა მათ პასუხი ადრე გამოგზავნილ კითხვებზე.

გაიმართა გაცხოველებული მეგობრული საუბარი, რომლის შინაარსი მოგვყავს ქვემოთ.

მ. ს. გორბაჩოვი. მოხარული ვარ მოგესალმოთ თქვენ, ამბ. კიაროომონტე, სხვა იტალიელო ამხანაგებო. მივიღე თქვენი წერილობითი შეკითხვები ინტერვიუსათვის და ბევრი ვიმუშავე პასუხზე. კაცმა რომ თქვას, ძალიან ბევრი შეკითხვა მომეცით. პრაქტიკულად ყველას ვუპასუხე. მაგრამ ზოგიერთი დავიტოვე შემდეგი ინტერვიუსათვის (გამოცოცხლება).

ჯ. კიაროომონტე. დიდი მადლობა. რაც შეიხება „უპასუხოდ დარჩენილს“, აქვე რიგში ვიწერებით შემდეგი ინტერვიუს მისაღებად. როგორც იცით, ჩვენ, იტალიელები, მეტად ცნობისმოყვარე ხალხი ვართ. მით უმეტეს, თქვენ, ამხანაგო გორბაჩოვ, იტალიაში ძალიან პოპულარული კაცი ბრძანდებით. სხვათა შორის, ყოფილხართ თუ არა წინათ იტალიაში?

მ. ს. გორბაჩოვი. დიახ, ვყოფილვარ და ვყოფილვარ ორგზის. შემიძლია ახლავე მოგახსენოთ, რომ ძალიან მომწონს იტალიელი ხალხი — ხალისიანი და ენერგიული.

პირველად იტალიაში ვიყავი დასასვენებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა ჯგუფთან ერთად თქვენი პარტიის ხელმძღვანელობის მიწვევით. ეს იყო მეტად საინტერესო მოგზაურობა. ვიყავით სიცილიაში, ქალაქ ტერიზინის მახლობლად. პრაქტიკულად მთელი კუნძული შემოვიარეთ ავტობუსით, ვნახეთ ენა, სიცილიის ეგრეთ წოდებული „უცე“, ვიწმენდეთ ტაორმინას, საკურორტო ქალაქს შემდეგ ვნახეთ იტალიის სხვა ქალაქები, დავესწრით გაზეთ „უნიტას“ ფესტივალს ტურინში, ვიყავით ფლორენციაში, პატარა ქალაქ სან-ჟიმინიანოში ფლორენციის მახლობლად. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა შეხვედრები პატარა ქალაქებში, მუშათა დაბებში, იტალიელ მუშებთან.

ჯ. კიაროომონტე. მინდა გიამბოთ ერთი შემთხვევა, რომელიც მოწმობს თქვენს პოპულარობას იტალიაში. ახლა ჩვენში მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია, და ყველა პარტიამ წამოაყენა კანდიდატთა სიები. ჩვენ წამოვაყენეთ მეტად ფართო სიები, რომლებშიც შეეყვანეთ მრავალი დამოუკიდებელი ინტელიგენციის წარმომადგენელი, მეშარეხენე შეხვედრებების ქალები და მამაკაცები, რომლებიც არ არიან ჩვენი პარტიის წევრები. ზოგიერთი გაზეთი წერდა, რომ ამრიგად ჩვენ წავედით ფეხბურთის კლუბების გზით, რომლებიც ყოველ წელიწადს იწვევენ მოთამაშეებს, წინათ სხვა გუნდებში რომ თამაშობდნენ. ამხანაგმა პაიეტამ მიამბო, რომ ერთ თავის მიტინგზე მან თქვა: იტალიის არჩევნებში რომ მოქმედებდეს კანონი, რომლითაც იტალიის კლუბები იწვევენ უცხოელ ფეხბურთელებს, შეძლებდით გვეთხოვა ამხანაგ გორბაჩოვისათვის ყოფილიყო კანდიდატი ჩვენს სიებში. ბუნებრივია, ეს ხუმრობა იყო: პაიეტას მსმენელებმა მქუხარედ დაუკრეს ტაში.

მ. ს. გორბაჩოვი. მეორედ იტალიაში ვიყავი, სამწუხაროდ, დამაღონებელი გარემოების ე. ბერლინგუერის გარდაცვალების გამო. მაშინ მეტად მნიშვნელოვანი საუბარი გვქონდა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრთა ჯგუფთან. მახსოვს, თითქმის მთელი ღამე ვისხედით, აღვძარით ძალიან ბევრი საკითხი. მე ვუთხარი თქვენს ამხანაგებს: რამდენ ხანს შეიძლება კამათი პარტიების ავტონომიის საკითხზე. თქვენ, იტალიელებს, მილიონჯერ გითქვამთ, რომ დამოუკიდებელი ხართ. ჩვენ-ორ მილიონჯერ, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებზეც გვითქვამს: რომ ჩვენც და თქვენც დამოუკიდებელი ვართ.

მაგრამ ახლა ვგრძნობ, რაოდენ ბევრი პარტია ესწრაფვის სოლიდარობას, ძალისხმევის კონსოლიდაციას. საქმე ეხება იმას, რომ განვავითაროთ პოლიტიკური ურთიერთობა პარტიებს შორის, პოლიტიკურ სოლიდარობას, იმას, რომ ადეკვატური პასუხი გავცეთ კომუნისტებს პრობლემებზე, რომლებიც ხალხთა წინაშე დაყენა დრომ. ჩვენ, კომუნისტები, ხომ გამოვხატავთ მუშათა, მშრომელთა ინტერესებს, და არ შეგვფერის პოლიტიკანობა. ჯანსაღად წარმომიდგენია აზრთა გაზიარების, ურთიერთმოქმედების ტენდენცია.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის დღესასწაულზე ვიწვევთ ბევრ დელეგაციას პარტიებისა და სხვადასხვა მოძრაობისაგან. ვფიქრობთ, მოსკოვში ამ დღეებში მოვაწყოთ არაფორმალური შეხვედრა მთელი მსოფლიოსათვის საინტერესო უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ფართო მსჯელობისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო კომუნისტები, არამედ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც. რამდენ დოკუმენტს, შეიდეგების შეჯამების გარეშე და ა. შ. ბევრი, ვისთანაც ამაზე მოგვიხდა საუბარი დადებითად გამოგვეხმაურა.

ჯ. კიაროომონტე. ეფექტიანი და სასარგებლო რომ იყოს, ასეთი შეხვედრა არ შეიძლება შემოიფარგლოს კომუნისტური პარტიებით. ასეთია ჩვენი აზრი. შეხვედრაში უნდა მონაწილეობდნენ სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლები, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი რომ არ გადაიქცეს დახურულ ღონისძიებად, არამედ ნამდვილად ფართო იყოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება იგი გახდეს სასარგებლო.

მ. ს. გორბაჩოვი. სწორედ ასეა. მოვამზადე პასუხი თქვენს წერილობით შეკითხვებზე, რომლებიც წინასწარ გადმომცეს, უნდა ვთქვა, რომ ძალიან მომწონს საკითხთა დაყენების იტალიური სტილი. თავდაბრალად ნახევარ გვერდზე შემახსენებთ იმას, რაც წინათ მითქვამს, შემდეგ კი მაძლევთ შეკითხვას. ეს სიმპათიური სტილია.

ჯ. კიაროომონტე. ჩვენ, ამხანაგო გორბაჩოვ, შთაგვაონებდა თქვენი გამოსვლების გულანდილობა, პირდაპირობა.

მ. ს. გორბაჩოვი. იქნებ ყველა შეკითხვას ვერ ვუპასუხე, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მაინც შევიცავდე გამეცა ამომწურავი პასუხი. იმედი მაქვს, რომ ეს დაგაკმაყოფილებთ. რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ უპასუხებ, და ალბათ საჭიროც არ არის, თორემ ინტერესი დაგეკარგებათ შემდეგი ინტერვიუსადმი (იცინიან).

ჯ. კიაროომონტე. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ თანხმობისათვის მოგეცეთ ინტერვიუ ტექსტისა და იმისათვის, რომ დღეს მიგვიღეთ. თუ შეიძლება, გვინდა რამდენიმე მოკლე შეკითხვა მოგცეთ.

მ. ს. გორბაჩოვი. გამორიცხული არ არის, რომ ამ შეკითხვებს უკვე ვუპასუხე წერილობით პასუხში, მაგრამ მზად ვარ გესაუბრთო.

ჯ. კიაროომონტე. განახლებისა და გარდაქმნის იდეები, რომლებსაც ახლა საბჭოთა ხელმძღვანელობა აყენებს, რა თქმა უნდა, უეცრად არ შობილა. როგორ ფიქრობთ, თუ წარსულს, თქვენს, როგორც პარტიული ხელმძღვანელის, მუშაობას გაიხსენებთ, რა მომენტში მიხვდით, რომ საჭიროა გარდაქმნა?

მ. ს. გორბაჩოვი. მართალი ბრძანდებით, ამხანაგო კიაროომონტე, ვერ ვიტყვით, რომ უეცრად, ერთ მშვენიერ ღამეს აგვეხლა თვალი. თუმცა, რა თქმა უნდა, ისეთი სიტუაციებიც არის, როცა გადაწყვეტილებას მოულოდნელად იღებ, მაგრამ მას მაინც წინ უძღვის ხანგრძლივი განსჯა-ფიქრი.

მართო მე კი არა, პარტიის ხელმძღვანელობაში მომუშავე ჩემი კოლეგებიც სოციალიზმის, სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში გაანალიზეს კონცეფციის დაბადებასა და ჩამოყალიბებას, უწინარეს ყოვლისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმს ვუკავშირებთ, რა თქმა უნდა, პარტიაში უკვე რამდენიმე წლის წინათ იგრძნობოდა ცვლილებებისა და განახლების აუცილებლობა. ეს აუცილებლობა აისახებოდა კიდეც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მათ შორის მისი ყრილობების დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებშიც. მაგრამ უბრალოდ ის იყო, რომ სოციალიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ბევრი მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დასკვნა და გადაწყვეტილება საბოლოო ანგარიშით კეთილი-სურვილი გამოდგა. ისინი არ განმტკიცებულა პარტიის პრაქტიკული საქმიანობით, პრაქტიკული საქმიანობით. გადაუჭრელი პრობლემები გროვდება, საზოგადოება საკუთარ თავზე გრძნობდა ამას, და ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშით, თავად პარტიაზე ახდენდა გავლენას. არადა, პრობლემები ხომ უნდა გადავჭრათ, სენს ხომ უნდა ვუმკურნალოთ. თუ სენს ბოლომდე არ განკურნავ და ორგანიზმის სიღრმეში დატოვებ, უფრო მეტი ძალით შემოგიტევს. და შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში 70—80-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად „კრიზისისწინა მოვლენების“ ტერმინსაც კი ვიყენებთ.

ვერ დავეთანხმები იმას, რომ, როგორც ზოგჯერ ამბობენ, სოციალიზმის განახლების კურსი პერსონალურად გორბაჩოვის სახელთან არის დაკავშირებულიო. ეს ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. ახალი კურსის ჩამოყალიბება იმის გამოხატულებაა, რომ საბჭოთა საზოგადოებას და საბჭოთა ხალხს ფართოდ ესმოდათ და ასლაც ესმით ცვლილებათა აუცილებლობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გორბაჩოვი რომ არ ყოფილიყო, ვინმე სხვა იქნებოდა. ჩვენი საზოგადოება მომწიფდა ცვლილებებისათვის და ცვლილებების აუცილებლობამ გზა გაიკაფა. ამ ცვლილებებმა მოითხოვა გარკვეული საკადრო გა-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის საუბარი იტალიური გაზეთის „უნიტას“ თანამშრომლებთან.
საბჭეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში

18 მაისს კრემლში მოლაპარაკება დაიწყეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნგუენ ვან ლინმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ ნ. ი. რიჟკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ე. ა. შევარდნაძე, ნ. ვ. ტალიზინი, ვ. მ. კამენცევი, სხვა ოფიციალური პირნი.

ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დო მიოი, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ კო თხატი, სხვა ვიეტნამელი ამხანაგები.

მ. ს. გორბაჩოვმა და ნგუენ ვან ლინმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ დინამიკურად ვითარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები, განმტკიცებულია მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით.

გაიმართა ინფორმაციის გაზიარება სსრ კავშირსა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის, სკკპ XXVII ყრილობისა და ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობის, ორივე პარტიის ცენტრალური კომიტეტების მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

შეეხო რა გარდაქმნას, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ იგი სულ უფრო ფართოდ და ღრმად მიმდინარეობს, ეხება ცხოვრების ყველა დარგს, საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენას. საჯაროობის, პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო დადებით გავლენას ახდენს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაზე, ადამიანთა განწყობილებაზე. დასახულია სოციალურ სფეროში ისეთი დიდი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვების გადიდება, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სისტემის გაუმჯობესება, საბინაო და კულტურული მშენებლობის ტემპის დაჩქარება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიზაციის დაჩქარების ამოცანათა რეალიზაცია მოითხოვს პარტიის უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას. საჭიროა არა მარტო სწორად დავსახოთ ამოცანები, არამედ მივაღწიოთ კიდეც მათს განხორციელებას, რაც ჩვენ, პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, ყოველთვის არ გამოგვდიოდა.

ნგუენ ვან ლინმა თქვა, რომ ვიეტნამის კომუნისტური პარტია აგრეთვე ადგება განახლების, გარდაქმნის კურსს, რომლებიც ხორციელდება ქვეყანაში საქმის რეალური ვითარების სწორი ანალიზის საფუძველზე. პარტიის გადაწყვეტილებანი შესაძლებლობას გვაძლევს ქვეყანა გამოვიყვანოთ ახლანდელი სიძნელეებიდან, განვამტკიცოთ ვიეტნამის კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, შევეტანოთ წვლილი აზია-წყნარა ოკეანის რეგიონისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში. გვესმის, თუ რაოდენ რთული იქნება ამ ამოცანების შესრულება, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მივაღწევთ წარმატებას, რადგან პარტიის კურსს მთლიანად უჭერს მხარს ხალხი.

მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა გაგებითა და სრული მხარდაჭერით ეკიდება ვიეტნამელ კომუნისტთა, მოძმე ვიეტნამის მშრომელთა მეცადინეობას დიდი და რთული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში. თუმცა ჩვენი ქვეყნები განვითარების სხვადასხვა დონეზე დგანან, სხვადასხვა ეტაპს გადიან, ჩვენ ვწყვეტთ მსგავს ამოცანებს — ვახორციელებთ განახლებას, გარდაქმნას. მათი არსია მთლიანად გამოვავლინოთ სოციალიზმის შესაძლებლობანი, მისი პოტენციალი, უზრუნველყოთ უკეთესი ცხოვრება ხალხებისათვის.

მსოფლიო განვითარების საკვანძო პრობლემების განხილვის დროს დადასტურდა, რომ ორივე პარტიასა და ქვეყანას გადაწყვეტილი აქვს კვლავაც განმტკიცოს თანამშრომლობა სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, მთელ პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის, კაცობრიობის ცხოვრებიდან ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის, ქვეყანათა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობისათვის.

დიდი ყურადღება დაეთმო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ვითარების განხილვას. მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ ვლადივოსტოკში დაისახა ამ ვრცელ რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელსაც საფუძვლად უდევს ომისა და მშვიდობის პრობლემათა ახალი ფილოსოფიურ-პოლიტიკური ხედვა, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში არსებულ რეალობათა აღიარება და გაგება.

ნგუენ ვან ლინმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და განაცხადა, რომ სოციალისტური „ვიეტნამი მზად არის კვლავაც მჭიდროდ იმოქმედოს სსრ კავშირთან მშვიდობისათვის, ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო ყოვლისმომცველი სისტემის შექმნისათვის ბრძოლაში, მთა შორის აზიაშიც. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ ვლადივოსტოკში კარგი დასაბამი მისცა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში პოლიტიკური კლიმატის ანლანდელ დადებითს შეცვლას.

აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოჩინეთის სამი ქვეყნის ხალხთა მშვიდ კავშირის განმტკიცებას, რაც მათი რევოლუციური მონაპოვრების დაცვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ განუხრელად უჭერს მხარს ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ინიციატივიან მეცადინეობას, რომლის მიზანია პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ასეანის სახელმწიფოებთან კონსტრუქციული დიალოგის გაჩაღებისა.

გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება კამპუჩიის პრობლემა

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „უნიტას“ რედაქციის კითხვებზე

(გაგრძელება)

დანაკლისია. და ეს მოხდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც, მთავრობაშიც. ხელმძღვანელებად მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც ბოლო წლებში მწვავედ გრძნობდნენ სიტუაციას, აყალიბებდნენ იდეებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს. 1985 წლის მარტის შემდეგ განახლდა პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობა, ცენტრალური კომიტეტის, აპრილის პლენუმზე კი დაისახა მოქმედების გეგმა. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს გამოფხიზლება, უეცარი თვალის ახელა კი არა, ჩვენს საზოგადოებაში ცვლილებების ობიექტური აუცილებლობის გაგება იყო, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საზოგადოების განახლებისა და განვითარების დაჩქარების კურსი.

ჯ. კიარომონტე. ჩაფიქრებიხართ თუ არა ამ პრობლემებს, როცა სტავროპოლში მუშაობდით?

მ. ს. გორბაჩოვი. ეს შეიძლება ითქვას ბევრ ამხანაგზე, რომლებიც იმ წლებში პერიფერიებში მუშაობდნენ. ჩვენ ვხედავდით საზოგადოებაში მიმდინარე რეალურ პროცესებს, ვგრძნობდით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში მოსული ახალი ამხანაგებიდან ბევრმა პრაქტიკული მუშაობის დიდი სკოლა ადგილებზე გაიარა. ამრიგად, გვაქვს ქვემოთაც და ზემოთაც გამოცდილებისა და სინამდვილის ანალიზის თავისებური სინთეზი.

ჯ. კიარომონტე. გაქვთ თუ არა თქვენს პასუხებში, რომლებიც წერილობით მოამზადეთ, პასუხი იმ კითხვაზე, ეწინააღმდეგება თუ არა ვინმე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ კურსს?

მ. ს. გორბაჩოვი. დიახ, ამ კითხვას პასუხი გავეცი. სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს გამოსვლებიც შეეხებიან ამ თემას, ჩვენში არავინ არ უწევს პოლიტიკურ წინააღმდეგობას ახალ კურსს. ჩვენ ყველანი ნებისდროს ვვილები ვართ. ადრინდელი ატმოსფერო, მუშაობის სტილი, მეთოდები, ანალიზისადმი, პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომა — ყოველივე ეს ჩვენზეც ახდენდა გავლენას. ამიტომ უნდა გარდავიქმნათ ახლა ყველა, მუშაობ დაწყებული და გენერალური მდგომარეობა დამთავრებული. ეს ლამაზი ფრაზა კი არა, საკითხის არსია. იმასაც ვიტყვოდი, რომ ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაციის არსია.

მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი დიდად გაიჭრა წინ აზროვნების მეთოდების, მიდგომის, შეფასებების თვალსაზრისით. მაგრამ, მოდით, ეს პლენუმი შევადაროთ ამასწინანდელ იანვრის პლენუმს. და დავინახავთ, თუ რა შორს წავედით წინ. არადა, პარტია ხომ იგივეა. ეს ნიშნავს, რომ თავად ჩვენ ვიცვლებით გარდაქმნის პროცესში.

ჯ. კიარომონტე. როცა იტალიაში ჩამობრძანდით ე. ბერლინგუერის დაკრძალვაზე, ერთერთი ჟურნალისტის კითხვის პასუხად ბრძანეთ, რომ ბერლინგუერის ზოგიერთმა იდეამ ხელი შეუწყო თქვენს ფიქრებს, განსჯას. მართლა ასეა თუ არა?

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენი ორი პარტიის ურთიერთობაში უმთავრესი ის არის — და ეს მნიშვნელოვანია, — რომ დისკუსიების პერიოდშიც კი მას შუდამ ახასიათებდა ამხანაგობის სულისკვეთება, ერთმანეთისადმი პატივისცემის სულისკვეთება. და ეს სასარგებლო იყო როგორც იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობისათვის, ისე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისთვისაც.

თავის დროზე ვ. ი. ლენინი აბობდა (ციტატა კი არ მომყავს, აზრს გადმოგცემთ), რომ უნდა იცოდე, არა მარტო პარტიაში, მოძრაობაში შენი ამხანაგების პოზიცია, არამედ ისიც, თუ რას ამბობს ჩვენზე კლასობრივი მოწინააღმდეგე. ვინაიდან იგი, ჯერ ერთი, გამოკვეთილად გამოხატავს თავის შესედულებებს, და, მეორე, უფრო მკვეთრად ხედავს სისუსტეს ჩვენს პოზიციებში.

მაშ, რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ ორ პარტიას, ორ ცენტრალურ კომიტეტს შორის აზრთა გაზიარების სარგებლიანობაზე? აზრების, ინფორმაციების აქტიური გაზიარება მდიდარ საკვებს იძლევა ფიქრისათვის, საშუალებას გვაძლევს უფრო ფართოდ მივუდგეთ იმ პრობლემას, გავაანალიზოთ საერთაშორისო პრობლემატიკა, გავიგრძოოთ და გავაფართოოთ კავშირურთიერთობა. ეს ურთიერთკავშირი შეიცავს დიდ გარანტიას, რომ უფრო სწორი იქნება ჩვენი შეფასებები და დასკვნები. ასეთი აზრთა გაზიარება, ასეთი ურთიერთკავშირი მეტად საჭიროა იტალიელ ამხანაგებთან ჩვენს ურთიერთობაშიც.

ჯ. კიარომონტე. მაშინაც კი, როცა დისკუსიები პოლემიკურ ხასიათს იძენდა?

მ. ს. გორბაჩოვი. დიახ, მაშინაც. ვინაიდან მწვავე პოლემიკის პერიოდებშიც კი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასაც და იტალიის კომპარტიასაც ნაკისრი და შეგნებული ჰქონდათ პასუხისმგებლობა თავიანთი ხალხების, მუშათა მოძრაობის წინაშე, სოციალიზმის საქმისათვის.

რ. ფოა. ნება მიბოძეთ, დაგისვათ უფრო პირადი ხასიათის შეკითხვა. თქვენ, ამხანაგო გორბაჩოვ, დიდად პოპულარული ბრძანდებით მთელ მსოფლიოში. და გასაგებია, რომ თქვენდამი ინტერესსაც იჩენენ. „უნიტას“ მკითხველებს ძალიან აინტერესებთ, თუ როგორ ატარებთ თავისუფალ დროს, რას კითხულობთ, რა გაინტერესებთ?

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენში მაინცდამაინც არ არის მიღებული ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ვეცდები გიპასუხოთ ამ კითხვაზეც.

საქმე ის არის, რომ, როცა ლაპარაკობენ გორბაჩოვის პოპულარობაზე, ვფიქრობ, გულისხმობენ არა კონკრეტულ კაცს, არამედ იმ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა ახორციელებს. ეს ის პოლიტიკაა, რომელიც მან შეიმუშავა და შესთავაზა საბჭოთა ხალხს, საზოგადოებას. საერთაშორისო სფეროში ეს არის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა ახორციელებს ჩვენი ცნობილი საგარეო-პოლიტიკური კონცეფციების საფუძველზე. როგორც ჩანს, ეს არის საბჭოთა პოლიტიკის ავტორიტეტის საფუძველი. თუ თანამიმდევრულად განვახორციელებთ მას, როგორც საშინაოს, ისე საგარეოსაც, ავტორიტეტს შევინარჩუნებთ და გავზრდით. თუ არა და, ვერავითარი სტილი, ვერავითარი პირადი მიმხიბვლელობა ვერ გვიშველის. ჩვენ საღად ვუყურებთ ასეთ რამეებს, ვიცით, რომ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კაცმა რომ თქვას, არა მარტო საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის. გადაჭარბება არ არის საჭირო. პატიოსნად უნდა ემსახურო შენს ხალხსა და სოციალიზმის საქმეს, იარო იმ გზით, ერთხელ რომ აირჩიე.

რა თქმა უნდა, საინტერესოა კითხვა გენერალური მდივნის თავისუფალი დროის შესახებ. ეეცდები ასე გიპასუხოთ.

ყოველთვის ჩემს „სისუსტედ“ მიმაჩნდა ის, რომ ბევრი რამ მაინტერესებს სხვადასხვა დარგში. იმასაც ვერ გეტყვით, რომელი დისციპლინებისადმი ვიჩენდი განსაკუთრებულ ინტერესს სკოლაში, მეცნიერებათაგან რომელი მეტად მიმწონდა და რომელი ნაკლებად. მაგალითად, შევედი იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მანამდე ფიზიკის ფაკულტეტზე მინდოდა შესვლა. ძალიან მიყვარდა მათემატიკა, მაგრამ ისტორიაც, ლიტერატურაც მიყვარდა. დღემდე ზეპირად მახსოვს ლექსები, რომლებიც სკოლაში ვისწავლე.

როგორც ჩანს, შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ცხოვრებაში ბევრს აღწევენ ის ადამიანები, რომლებიც რაღაც ერთ დარგს ჰკიდებენ ხელს. მაგრამ მე მაინც ფართო აზროვნების ადამიანები მირჩევნია.

რაც შეეხება თავისუფალ დროს, ახლა იგი სრულებით არა გვაქვს, და მარტო მე კი არა, საბჭოთა ხელმძღვანელობის არც ერთ წევრს.

ახლანდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის მისია ის არის, რომ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და მაქსიმალურად ფართოდ გაშალოს გარდაქმნის პროცესები. ეს გვაიძულებს ხელი მოვკიდოთ, არსებითად, ყოველივეს — ეკონომიკას, იდეოლოგიას, კულტურას, მთელ სულიერ სფეროს. ამით განისაზღვრება ჩვენი კონტაქტები ადამიანებთან, ამას ხმარდება პრაქტიკულად მთელი დრო. იქნებ ცხოვრების ასეთ წესს მთლად ნორმალურს ვერც უწოდებს კაცი, მაგრამ იგი დროით, ახლანდელი სიტუაციით არის ნაკარნახევი, რომელიც მოგვავონებს რევოლუციურ პერიოდებს, როცა მთელი შენი არსება საქმეს უნდა მოახმარო და არაფერი დაზოგო.

ინტერესებზე კი იმას მოგახსენებთ, რომ მოწიფულობის წლებში ყველაზე მეტად ეკონომიკის საკითხები მაინტერესებდა, ვკითხულობდი და ვწერდი ამ საკითხებზე. შეიძლება ითქვას, რომ აქ რაღაც-რაღაცებში ვერკვევი. მაგრამ კვლავინდებურად მაინტერესებს ფილოსოფიის საკითხები, ახლა კი განსაკუთრებით. სხვათა შორის, ახლა ეს მეხმარება თეორიულად გავიაზრო საბჭოთა საზოგადოების განვითარების ის ეტაპი, რომელზეც ვიმყოფებით, თანამედროვე მსოფლიოს პრობლემები, მისი ურთიერთკავშირები. ეს შესაძლებლობას გვაძლევს რაღაც სურვილების საფუძველზე კი არა, სერიოზული ანალიზისა და რეალისტური დასკვნების საფუძველზე ვიბრძოლოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ფილოსოფიის საკითხებზე დიდძალი ლიტერატურა წამიკითხავს, თანაც არა მარტო ის, რომელიც დაწერილა ჩვენში, არამედ დასავლეთშიც. შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირში თითქოს „აღორძინების ეპოქა“, ლენინიზმის შემოქმედებით სულისკვეთების აღორძინების ეპოქა დადგა. ჩვენ ხელახლა ვკითხულობთ, ახლებურად ვიაზრებთ ლენინის ნაშრომებს, რათა ღრმად ჩავწვდეთ ლენინურ მეთოდს. ამ მეთოდის გაგება გვეხმარება ჩვენს სერიოზულ საქმეებში. აქ ციტირება ვერ გვიშველის. თუ ლენინს შემოქმედებითს მეთოდს ვერ დავეუფლეთ, ვერ გავაანალიზებთ თანამედროვეობას, ვერ შევიმუშავებთ სწორ გადაწყვეტებს.

მე, მაგალითად, ხშირად ვიმეორებ ლენინის სიტყვებს, რომ მსოფლიო მეურნეობის გასაგებად საჭიროა 70 მარქსი. მაგრამ ეს ითქვა მრავალი ათწლეულის წინათ. მაშ, ახლა რაღა იქნება!

ლენინს სწამდა, რომ მისი მიმდევრები სოციალიზმის საქმეს, იმ საქმეს უერთგულებდნენ, რომელსაც მთელი თავისი დიდი ცხოვრება შეალია. სწამდა, რომ ისინი შემოქმედებითად განავითარებდნენ მის მოძღვრებას.

ბუნებრივია, მაინტერესებს საზოგადოების, ჩვენი ხალხის სულიერი, კულტურული ცხოვრება. ძალზე საჭიროა გავიგოთ, როგორ გავლენას ახდენს ცვლილებები ჩვენს საზოგადოებრივ აზრზე.

როგორც ხედავთ საუბარი დასვენებაზე, თავისუფალ დროზე არ გამოგვივიდა (გამოცოცხლება).

ჯ. კიეზა. თქვენ ბევრს მოგზაურობთ ქვეყანაში. როგორია ამ მოგზაურობით მიღებული თქვენი შთაბეჭდილებანი? აღძრავს გარდაქმნა პრობლემებს? როგორ აღიქვამენ მშრომელები დისციპლინისთვის, სოციალური სამართლიანობისათვის მოწოდებებს? როგორ აღიქმება ის პრივილეგიები, რომლებითაც სარგებლობს ზოგიერთი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. როგორ რეაქციას იწვევს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა?

მ. ს. გორბაჩოვი. ყველა ჩემს მოგზაურობას ქვეყანაში, მათ შორის ამასწინანდელ მოგზაურობას ბაიკონურზე, თან სდევს ფართო კონტაქტები მუშებთან, მშრომელებთან. ამასთან ეს ჩემთვის არ არხს სიახლე, გამოგონება. მე ყოველთვის ასე ვმუშაობდი, და ამ საკითხში გარდაქმნა არ მჭირდება (სიცილი). ვფიქრობ, რომ პარტიული მუშაკი, მით უმეტეს საბჭოთა ხელმძღვანელობა ხალხთან ურთიერთობაში ერთ-ერთი მასშტაბის მუშაკი წარმატებით ვერ შეასრულებს თავის მოვალეობებს და ნაყოფიერად ვერ იშრომებს, თუ ამს ცხოვრებ ურთიერთობა არ ექნება მშრომელებთან, მათს ცხოვრებასთან. ამ შესაყარზე, ესე იგი პოლიტიკასა და მასებთან კონტაქტების შესაყარზე, ჩანს მთელი მუშაობის სისწორეც და ნაკლოვანებანიც. ამის საფუძველზე შეიძლება შევიტანოთ და კიდევაც უნდა შევიტანოთ შესწორებები, თუ რაღაც ისე არ კეთდება. ეს ჩვენი საქმიანობის ცენტრალური რგოლია.

მშრომელების მიერ პარტიის პოლიტიკის, განახლების გეზის მხარდაჭერა, ალბათ, ახლა ყველაზე მთავარია. ეს მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, ჩვენი პოლიტიკა არაფრად აღარ ეღირებოდა. ორ წელიწადში დავინახეთ, დავრწმუნდნით, რომ სწორი იყო ჩვენი არჩევანი, როცა განახლების, გარდაქმნ ი ს გეზს დავადექით. მაგრამ არის ტაქტიკური საკითხებიც, საკითხები, რომლებსაც დრო განსაზღვრავს. ჩვენ ყველაფერი არ ვიცით, მაგრამ ვიცით მთავარი. ეს არის პროცესი. და ამ პროცესს ნიადაგ უნდა იზიარებდნენ პარტიაც, საზოგადოებაც.

მშრომელებისგან ყველგან გვესმის — მხარს ვუჭერთ პარტიის პოლიტიკას, გარდაქმნას, გვწამს მისი და გთხოვთ არ შეჩერდეთო. როგორც ზედავთ, გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამენ — არ შეჩერდეთო! ალბათ, არის ამ შეშფოთების საფუძველი. საქმე ის არის, რომ წინათ ყოფილა წამოწყებები, მაგრამ ისინი ბოლომდე არ მიჰყავდათ. ადამიანები გვახსენებენ ამას.

თქვენ დასვით საინტერესო კითხვა დისციპლინისადმი, წესრიგისადმი დამოკიდებულების შესახებ. საქმე ის არის, რომ თვით მშრომელები მოითხოვენ მეტ დისციპლინას, მეტ წესრიგს. ჰოდა, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ და კიდეც ვიმოქმედებთ ისე, რომ განვამტკიცოთ ერთიც და მეორეც. ადამიანები მზარს უჭერენ ორგანიზებულობას, ეკონომსნდიციერებს, პასუხისმგებლურ მიდგომას. ეს თუ არ არის, გასაჭირი ადგას მთელ საზოგადოებას. საჭირო, რომ წესრიგი და დისციპლინა იყოს სამრეწველო საწარმოებში, ვაჭრობაში, საქალაქო მეურნეობაში. დისციპლინა და წესრიგი დაგვეჭირდება გარდაქმნის ყველა ეტაპზე. რა თქმა უნდა, აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანების შეგნებასაც, მათს თვითდისციპლინასაც. სწორედ თვითდისციპლინის მეოხებით შეიძლება განვითარდეს გარდაქმნის დემოკრატიული საფუძვლები. ახალი კურსის მთავარი მიზანია ადამიანების რეალური მონაწილეობა გარდაქმნის პროცესებში.

რამდენიმე სიტყვა ეგრეთ წოდებულ პრივილეგიებსა და სოციალური სამართლიანობის საკითხებზე. საქმე ის არის, რომ სოციალიზმს არ შეუძლია უზრუნველყოს ყველასათვის ერთნაირი ცხოვრების პირობები და მოხმარება. ეს კომუნიზმის დროს იქნება. სოციალიზმის პირობებში საზოგადოებრივ სიკეთეთა განაწილების კრიტერიუმები სხვაგვარია: თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით. არსებობს მთელი რიგი ისტორიული მოსაზრებები, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალისტური საზოგადოების სტაბილურობას: ექსპლოატაციის უქონლობა; ერების თანასწორ ო ბ ა; სამუშაოთი უზრუნველყოფა; უფასო განათლება, ეს იგი თითოეულისათვის საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა; უფასო სამედიცინო მომსახურება, ესე იგი ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა; ზრუნვა მოხუცებულობის უზრუნველყოფისათვის; ფაქტობრივად უფასო ბინა მოსახლეობის უმრავლესობისათვის.

ასეთია სოციალური სამართლიანობის გამოხატულება სოციალიზმის დროს. სხვათა შორის, ეს ხდის ჩვენს საზოგადოებას პოლიტიკურად ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ საზოგადოებად.

როცა უზრუნველყოფილია საზოგადოების სტაბილური ცხოვრების საფუძვლები, ადამიანების საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი უნდა გახდეს შრომის რაოდენობა და ხარისხი. წინათ კი შეინიშნებოდა ამ კრიტერიუმიდან გადახრები, გაჩნდა გათანაბრების ტენდენციები. ეს ნიშნავდა, რომ ადამიანის შემოსავალი არ უკავშირდებოდა მის შრომითს წვლილს, მის შემოქმედებითს შესაძლებლობებს. ამან გავლენა იქონია ადამიანების აქტიურობაზე. ამიტომ ახლა ჩვენთვის ამოცანათა ამოცანაა დავალიოთ გათანაბრება. პატივი უნდა ვცეთ ადამიანის შრომას, მისი შრომის ხარისხსა და რაოდენობას. თუმცა, რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვისაც სურს ნაკლები იმუშაოს, მეტი კი მიიღოს, მიიღოს დიდი მეცნიერის, კარგი სპეციალისტის, მაღალკვალიფიცი ურ ი მუშის, გამრჯე გლეხის დონეზე. ჩვენი ამოცანაა, ვიმეორებ, სრულად დავამკვიდროთ სოციალიზმის პრინციპი: თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით.

რაც შეეხება შეღავათებს, აქ შეიძლება შემდეგი ითქვას. არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათები. ეს ისევ დაკავშირებულია ადამიანის საზოგადოებრივი სასარგებლო შრომის რაოდენობისა და ხარისხის, კონკრეტული ადამიანის წვლილის გათვალისწინებასთან.

არის შეღავათები, რომლებიც ხორციელდება ეკონომიკურ სფეროში, მეცნიერების სფეროში (ჩვენ, მაგალითად, ვზრუნავთ დიდი მეცნიერების, აკადემიოსებისათვის). ადამიანებს, რომლებსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ენიჭებათ განსაკუთრებული წოდებები, მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირისა, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა, კულტურის და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა. მათ აქვთ გარკვეული პრივილეგიები, მათ შორის ბინების განაწილების დროსაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გთვალისწინებენ ადამიანის კონკრეტული წვლილი.

ვფიქრობ, რომ ეს დასაბუთებულია. აქ საქმე ეხება იმ პრივილეგიებს, რომლებიც სახელმწიფოს შესაძლებლად მიაჩნია მიანიჭოს საზოგადოების ამა თუ იმ წევრს მთელი საზოგადოების განვითარების ინტერესებისათვის. მომავალშიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეღავათები და პრივილეგიები, ალბათ, იქნება.

მაგრამ არის ისეთი პრივილეგიები, რომლებსაც სახელმწიფო არ ადგენს, მაგრამ რომლებიც ზოგ-ზოგებმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ძალით თვითონ დაიწესეს. აი ეს კი მიუღებელია, ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ვიბრძოლებთ.

არსებობს საკითხის მეორე ასპექტი. ამა თუ იმ ორგანიზაციის, დაწესებულების, საწარმოს გამგეობაში არის სამსახურები, რომლებიც მათ მომსახურებას უწევენ ვაჭრობის ან განაწილების დარგში. ასეთი ფორმა შეიქმნა ჩვენში. ავიღოთ, მაგალითად, დიდი ქარხანა. ჩვენს ქვეყანაში ქარხანა ხომ მარტო მისი პროდუქცია კი არა, მომსახურების სფეროც არის ქარხნის მუშაკებისათვის.

სხვათა შორის, უნდა ითქვას ამხანაგო კიეზა, შეგიძლიათ ერთ-ერთი თქვენი რეპორტაჟი რომელიმე ასეთ ქარხანას მიუძღვნათ.

დიდ საწარმოებში არსებობს საზოგადოებრივი კვების სისტემა. თუ, პირდაპირ ვთქვათ, ვაჭრობის სისტემაში ყოველთვის არ არის საკმარისად ესა თუ ის პროდუქტი, ქარხნის სასადილოებში ეს პროდუქტები აქვთ. საწარმო კისულობს სასადილოს შენობის შენახვის ხარჯებს, სხვა ხარჯებს, მშრომელები ადგენენ სადილებს. ამას უზრუნველყოფენ ქარხნის ადმინისტრაცია და პროფკომი.

არსებობს სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც ემსახურებიან ამ საწარმოს მუშაკებს. თანაც არა მარტო პოლიკლინიკა, არამედ დასასვენებელი სახლები, პროფილაქტორიუმები საწარმოს გვერდიდან, და, ვთქვათ, შავ ზღვაზეც, სხვა ადგილებში. საწარმოებთან გახსნილია აგრეთვე მაღაზიები, შეკვეთების მაგიდები, ატელიე და ა. შ.

ეს — საწარმოებში. მაგრამ თუ აკადემიას, მწერალთა კავშირს ან სხვა მსგავს ორგანიზაციას, იქაც კვეთი თავიანთი მომსახურების სფეროები, სანატორიუმებიც, პანსიონატებიც, საადრაკო დაბებიც. ამგვარად წყდება სწორედ მომსახურების ამოცანები.

ანალოგიური სამსახურები აქვთ კომკავშირსაც, პიონერიას (სხვათა შორის, ყველაზე მდიდარ ორგანიზაციას ქვეყანაში), აქვს იგი პარტიულ აპარატსაც. ასე ჩამოყალიბდა ისტორიულად.

რა თქმა უნდა, თუ ასეთი სისტემა იქნება, შეიძლება წარმოიქმნას პრობლემებიც. უწინარეს ყოვლისა, არის, როგორც იტყვიან, გადანამეტი იმ თვალსაზრისით, რომ ზოგი მეტისმეტად მოსწყდა საერთო დონეს. ასეთ მოვლენებს, ბუნებრივია, სამართლიანად აკრიტიკებენ მშრომელები.

პარტია იბრძვის, სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, ხორციელდება სოციალურ სფეროში საქმიანობის სრულყოფის დიდი ღონისძიებანი. ჩვენ ვაჩქარებთ საბინაო მშენებლობას, საწარმოო სფეროსათვის დაგეგმილ კაპიტალდაბანდებათა ათი პროცენტი ინვესტირებული იქნება საბინაო მშენებლობაში. მივიღეთ სერიოზული გადაწყვეტილებანი ჯანმრთელობის სისტემის რეკონსტრუქციის შესახებ. ხორციელდება უმაღლესი და საშუალო სკოლის რეფორმა. მიღებულია შემოქმედებითი კავშირებისადმი მატერიალური დახმარებისა და სხვა ზომები.

ჩვენ კვლავაც რეალისტურად გავაანალიზებთ მდგომარეობას სოციალურ სფეროში. ჩვენი მიდგომის საფუძველია ამ სფეროს განვითარების ეჯჩქარება. იგი, პატიოსნად უნდ. ვაღიაროთ, ჯერჯერობით ჩამორჩება. აქ მთავარია სწორად გამოვიყენოთ სოციალური პრინციპები, სწორად შევიფასოთ ყოველი ადამიანის წვლილი, მისი შრომის ხარისხი და ოდენობა.

განსაკუთრებით დგას ჩვენი ვეტერანების, პენსიონერების, ინვალიდების, მრავალშვილიანი ოჯახების საკითხი. ვზრუნავდეთ და კვლავაც ვიზრუნებთ მათთვის. ამ მიზნით, სხვათა შორის, შექმნილია შრომის ვეტერანთა ორგანიზაცია. ვზრუნავთ ახალგაზრდობის სპეციფიკური ინტერესებისთვისაც.

გარდა ამისა, ცხადია ისიც, რომ სოციალურ სფეროში, ისევე როგორც, კაცმა რომ თქვას, ყველა სხვა სფეროშიც, გადაჭრით ვიბრძოლებთ ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის, ისეთი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა მექრთამეობა, წამგლეჯობა, უშრომელი შემოსავალი.

განვაგრძობთ ბრძოლას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ამ მოვლენას ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვთ გადგმული. ჩვეულებად იქცა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი როდია. მაგრამ საზოგადოება ვომწყდა ამ საკითხის გადაწყვეტაში მკვეთრი შემობრუნებისათვის. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ მშრომელები მოგვაგონებენ, რომ არ უნდა შევანელოთ ბრძოლა ალკოჰოლიზმთან. თუმცა რა თქმა უნდა, ყველა როდია ქმაყოფილი მიღებული ზომებით. ქალები მშრალი კანონის შემოღებასაც კი მოითხოვენ, მაგრამ, ჩვენ გვესმის, რომ სახელმწიფო მასშტაბით ასეთი კანონის შემოღება არ შეიძლება. და ვუპასუხებთ: თუ გნებავთ, მშრალი კანონი თქვენს ოჯახში, დაბაში, სოფელში, დასახლებულ პუნქტში, და ბოლოს, რაიონში შემოიღეთო. ათასობით სოფელში, დაბაში მშრომელებმა ყრილობებზე მიიღეს გადაწყვეტილება შეიწყვიტათ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და მოხმარება. ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან რთული საქმეა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის მოხმარება სანახევროდ შემცირდა, მაგრამ შესამჩნევად გაძლიერდა არყის გამოხდა. ამ მოვლენას შეურიგებლად ვებრძვით, ამასთან გავამკაცრებთ კიდეც შესაბამის ღონისძიებებს.

ეს დიდი პრობლემაა. და ისეთი ბოროტებისაგან განთავისუფლების გზა, როგორიც ალკოჰოლიზმია, არის მომსახურების სფეროს, ვაჭრობის სფეროს განვითარება, სპორტის, კულტურის შემდგომი განვითარება, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია.

საერთოდ უნდა ითქვას: საზოგადოებას რომ ნეგატიური პოციზია დაეკვებინა ამ საკითხში, ჩვენ არაფერი გამოგვივიდოდა. ყველა ეს ღონისძიება მიღებული იყო მშრომელთა აზრის საფუძველზე და ხორციელდება მათი მონაწილეობით.

ჯ. კიარომონტე. უკანასკნელი მოკლე კითხვა: როგორ აფასებთ საბჭოთა კავშირისა და იტალიის რესპუბლიკის ურთიერთობას?

მ. ს. გორბაჩოვი. სსრ კავშირისა და იტალიის ურთიერთობა ცუდად როდი ვითარდება. ვაფასებთ ჩვენს ურთიერთობას იტალიის რესპუბლიკასთან, რასაც საფუძვლად უდვეს დიდი ტრადიციები, ერთმანეთის პატივისცემა. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის ვითარდება და იხვეწება პოლიტიკური დიალოგი და ურთიერთგაგება.

ჩვენ აგრეთვე ვაფასებთ იტალიის ორიგინალურ წვლილს საერთაშორისო საქმეებში. ვიცით, ვაფასებთ და დიდი ინტერესით ვეკიდებით იტალიის უმდიდრეს კულტურასა და ისტორიას.

ჯ. კიარომონტე. იტალიაში თქვენი ჩამობრძანების საქმე როგორ არის, ამხანაგო გორბაჩოვ?

მ. ს. გორბაჩოვი. ამაზე სულ მუდამ ვფიქრობ. იტალიაში ჩამოსვლის უდიდესი სურვილი მაქვს. ვსარგებლობ შემთხვევით, და მინდა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით და პირადად ყოველივე საუკეთესო ვუსურვო იტალიელ ხალხს. შემდეგ იბეჭდება პასუხი, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა გადასცა იტალიელ ამხანაგებს წერილობით.

კ ი თ ხ ვ ა: ახლახან ბრძანეთ, რომ ტურიზმი თქვენი პროფესია არ არის და ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებას შეძლებთ იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება რეალური პერსპექტივა დაიდოს შეთანხმება განიარაღების დარგში. იქნებ შეეხოთ ძირითად საკითხებს, რომელთა გამო, როგორც თქვენ მიგაჩნიათ, საჭიროა შეთანხმება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის შესაძლო შეხვედრაზე? მიგაჩნიათ თუ არა, რომ, კერძოდ, ახლა ხელშესახები გახდა საშუალო სიშორის რაკეტებზე შეერთებულ შტატებთან შეთანხმების მიღწევის პერსპექტივა?

პასუხი: ტურიზმზე რაც ბრძანეთ, სწორია. მაგრამ, აი, რეალიზმი სავალდებულო თვისებაა, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყოველ პოლიტიკოსს.

მსოფლიოში სამხედრო დაძაბულობისა და კონფრონტაციის შესუსტების საკითხთა მთელი კომპლექსი ერთობაშად და ერთდროულად ვერ გადაწყდება, მაგრამ საჭიროა რაღაცით დავიწყოთ.

დღეისათვის ასეთი საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად მომწიფდა გადაწყვეტისათვის, უდავოდ, არის ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული და საბჭოთა რაკეტების ლიკვიდაცია და მათი მკვეთრი შეზღუდვა სსრ კავშირის აზიურ ნაწილში და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

მორიგება ამის თაობაზე და ისტორიაში პირველი ბირთვული იარაღის მთელი კლასის რადიკალური შემცირების, თითქმის სრული ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა სავსებით რეალურია. ასევე სავსებით შესაძლებელია განისაზღვროს „საკვანძო დებულებანი“ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ბირთვული გამოცდების შესახებ.

ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ გვეგონა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების პოზიციების შესახებ საბჭოთა მხარის სწრაფი წინსვლის შედეგად შეთანხმების დადებას აღარაფერი აკლდა.

მართლაც, ამ შეთანხმების საფუძვლები ერთობლივად განსაზღვრეთ პრეზიდენტმა რეიგანმა და მე ჯერ კიდევ რეიკავიკში; იყო სურვილი, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა, რომ შეეთანხმებულიყავით საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია გამოგვეყო საერთო პაკეტიდან — ჩვენ ეს ვქენით; წარმოიქმნა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ უთანასწორობა იყო ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების მხრივ ევროპის კონტინენტზე — დავთანხმდით ევროპაში ამ კლასის საბჭოთა და ამერიკული იარაღის სრულ ლიკვიდაციას.

ალბათ, არა მარტო ჩვენ, არამედ ადამიანთა ფრმრავლესობაც ყველგან ევროპასა და მსოფლიოში ფიქრობდა, რომ საბოლოო შეთანხმების მიღწევა, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

მაგრამ, თურმე, დასავეთი ევროპის ზოგიერთ მთავრობას ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვეტა სურდა თუ არა საბჭოთა საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია, თუ ერთდროულად მოისპობდა ამერიკული რაკეტებიც.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ ზოგ-ზოგები ცდილობენ შექმნან ახალ-ახალ პირობა — შენიშვნების დაუსრულებელი ჯაჭვი. ჯერ ამბობდნენ, რომ საშუალო სიშორის რაკეტების . საკითხი ვერ გადაწყდება, თუ ერთდროულად არ მოისპო ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები, მერე აქ ჩართეს ტაქტიკური ბირთვული იარაღი, საბრძოლისველო ბირთვული იარაღი, ასევე ჩვეულებრივი იარაღი და შეიარაღებული ძალები. აკაცმა რომ თქვას, ყველა

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „უნიტას“ რედაქციის კითხვებზე

(დასასრული)

ამზადებდნენ მათს საბრძოლო ჯგუფებს ავღანელის ფარგლებს გარეთ, არ აბრკოლებდნენ ლტოლვილთა დაბრუნებას ქვეყანაში, საქმე გაცილებით უფრო სწრაფად წავიდოდა წინ.

და მაინც, ვიმეორებ, პროგრესი არის.

ავღანეთის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ეროვნული შერიგების პროგრამის ფარგლებში სურს ითანამშრომლოს სულ სხვადასხვა, არსებითად, — პოლიტიკური ძალების უმრავლესობასთან და მზად არის დადოს მორიგება კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ. მთავრობის შემადგენლობის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ავღანელი ხალხის უცილობელი უფლებაა. ეს გაბედული მიდგომაა. ამით ვლინდება ავღანეთის ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის არა სისუსტე, არამედ ძალა.

საბჭოთა კავშირი არ ერევა და არც ჩაერევა იმაში, თუ სად მოძებნიან ავღანელი ამხანაგები პარტნორებს ეროვნული შერიგების პროგრამის რეალიზაციისათვის — საკუთარ ქვეყანაში თუ ლტოლვილთა და ემიგრანტთა შორის საზღვარგარეთ, იქნებ თქვენთან, იტალიაშიც.

ზოგჯერ ამბობენ, საბჭოთა კავშირი ავღანეთის პრობლემის მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ მოწესრიგებას დაეთანხმება, რომელიც ავღანეთს „მისი გავლენის სფეროში“ დატოვებსო. ეს ღრმად მცდარი შეფასებაა. საბჭოთა კავშირს საერთოდ არა აქვს „გავლენის სფეროება, და იგი არ „ესწრაფვის მათ შექმნას. რაც შეეხება ავღანეთს, ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს მიუმხრობლობის მოძრაობის პოზიციას იმის სასარგებლოდ, რომ ეს ქვეყანა რჩებოდეს დამოუკიდებელი, სუვერენული და მიუმხრობელი.

თუ ავღანეთი გადაწყვიტს გადეს აგრეთვე ნეიტრალური სახელმწიფო, ეს ისევ და ისევ ავღანელი ხალხის საქმეა.

მთავარია სწრაფად ვიაროთ წინ პატიოსან, სამართლიან საფუძველზე ავღანეთის საკითხის მოწესრიგების გზით.

კითხვა: ახლო აღმოსავლეთი კვლავ საშიშროების კერა და ამავე დროს ყველაზე ძნელად გადასაწყვეტი პრობლემების წყაროა. სსრ კავშირს არაერთგზის განუცხადებია, რომ მზარს უჭერს პალესტინელთა საქმეს, და წამოაყენა წინადადება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. იქნებ დაიწუსტოთ, საბჭოთა კავშირის აზრით რა გზით უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს? როგორია სსრ კავშირისა და ისრაელის ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივები?

პასუხი: ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი ძველისძველი და ძალზე აფეთქებასაშიში კონფლიქტია. მისი მოწესრიგება ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ამოცანაა.

ბოლო თვეებში სულ უფრო პოპულარული ხდება ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის იდეა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ყველა დაინტერესებული მხარე უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან ერთად.

საერთაშორისო კონფერენცია უნივერსალური, მოქნილი ფორმაა. მის ფარგლებში შეიძლება გაიმართოს ორმხრივი, სამმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებაც. აქ უპრიანია ყოველგვარი კონტაქტი, მონაწილეთა ურთიერთმოქმედება.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების არსზე, მის პრინციპულ ბაზაზე თუ ვილაპარაკებთ, აქ ცენტრალურია სამართლიანობის დაცვა: ისრაელმა თავისი ჯარები უნდა გაიყვანოს 1967 წლის ივნისიდან ოკუპირებული ტერიტორიიდან; ყველამ უნდა ცნოს პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის კანონიერი უფლება, მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებაც; ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის, ცხადია, ისრაელისათვის, საიმედოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მშვიდობის პირობებში, უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებში ცხოვრების შესაძლებლობა.

ბოლო ხანს მოხდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ახლო აღმოსავლეთის სექმეების ევოლუციასთან.

თქვენ მაძლევთ კითხვას საბჭოთა კავშირ-ისრაელის ურთიერთობის შესახებ. დიპლომატიურ ურთიერთობას რაც შეეხება, ერთ-ერთ ამასწინანდელ გამოსვლაში უკვე განვმარტე ჩვენი პოზიცია. ეს ურთიერთობა შეიძლება აღდგეს, თუ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებაში იქნება რეალური პროგრესი. ჩვენ არ გვაქვს მიზეზი ისრაელს ვეკიდებოდეთ სხვანაირად, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს, გარდა ერთი მიზეზისა — ისრაელის აგრესიული პოლიტიკისა არაბთა მიმართ.

კითხვა: ჩვენ ყველანი ვგრძნობთ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დამყარების აუცილებლობასა და გადაუდებლობას. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა განვითარებადი ქვეყნების დავალიანების შესახებ. ამ პრობლემის გადასაჭრელად მრავალი წინადადება წამოყენებულა. როგორია სსრ კავშირის პოზიცია? და რას უკავშირდება საბჭოთა კავშირის ახალი ინტერესი ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმებისადმი?

პასუხი: ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დამყარება, საერთაშორისო ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა და დავალიანების პრობლემის მოწესრიგების რეალისტური გზების ძიება ჩვენთვის საინტერესო საკითხებია.

მთელი მეცადინეობა უფრო მტკიცე და საიმედო მშვიდობის მისაღწევად შეიძლება ნაკლებშედეგიანი აღმოჩნდეს, თუ ამასთანავე სამართლიან საფუძველზე არ გადაიჭრა საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემები.

კაპიტალისტური დასავლეთის ქვეყნები თანდათან თითქოს ხვდებიან ბრისხანე ხასიათს ამ პრობლემებისა, რომელთა შორის არის საერთაშორისო ვაჭრობის ხელოვნური შეზღუდვა, დავალიანება, არაეკვივალენტური აღებმიცემობა და ა. შ. მაგრამ ისინი მათ გადაჭრას ძველი ნეოკოლონიალისტური მეთოდებით უდგებიან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მოასწავებს მხოლოდ ახალ ჩიხებს, ახალ გართულებებს, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის მილიონობით ადამიანის ტანჯვის გაღრმავებას აქედან გამომდინარე ყველა პოლიტიკური შედეგით.

მსოფლიო ეკონომიკური პრობლემები სწორედ იმიტომ არის მსოფლიო, რომ ისინი გადაწყვეტოთ ყველამ ერთად, მთელმა მსოფლიომ, ე. ი. ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე. ყველა სხვა მეთოდი პალიატივია და სხვა არაფერი. დროა გავიგოთ ეს, თორემ, სხვანაირად, როგორც ძველ რომში ამბობდნენ, ცუდად ჩამქრალი ხანძარი შეიძლება კიდევ უფრო ძლიერად აგიგზგზდეს.

საბჭოთა კავშირი მზად არის ყველა ქვეყანასთან ითანამშრომლოს თანამედროვე სამყაროს ამ მწვავე პრობლემების გადასაჭრელად.

ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებაზე ძალზე მოკლედ გეტყვით: ეს ერთი იმ საერთაშორისო მექანიზმთაგანია, რომელთა გამოყენებაც შეიძლება და, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უნდა გამოვიყენოთ კიდეც ყველა ქვეყნის მეცადინეობის გასაერთიანებლად მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობის გაჯანსაღების საქმეში. ეს განპირობებს ჩვენს ინტერესს შეთანხმებისადმი და მის ფარგლებში მიმდინარე მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებისადმი.

კითხვა: გადავიდეთ საშინაო საკითხებზე. XXVII ყრილობაზე თქვენ განაცხადეთ, რომ აუცილებელია „რადიკალური რეფორმა“, „რევოლუციური ცვლილებები“ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, რათა შედარებით მოკლე ვადაში განახორციელოთ გადასვლა ახალ ფაზაზე, „ინტენსიური“ ეკონომიკური განვითარება ახასიათებს. მას შემდეგ განვლილი წელიწადნახევრის მიღებულ იქნა ახალი კანონები და დადგენილებები, რომლებიც ცვლიან საწარმოებისა და სამინისტროების ეკონომიკურ მართვას, მოხდა საგრეო ვაჭრობის რეორგანიზაცია, მოწონებულ იქნა კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, გამოქვეყნდა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის პროექტი. მაგრამ სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ძირითადი ასპექტები ჯერ კიდევ არ განსაზღვრულა, რაზეც უნდა იმუშაოს სწორედ ცენტრალური კომიტეტის უახლოესმა პლენუმმა. რა მიმართულებით იწარმოებს ეს მუშაობა?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავ, რომ პარტიამ წამოაყენა სოციალისტური საზოგადოების ახლებურ თვისებრივ ზრდაზე გადასვლის ამოცანა. ამ ამოცანის ცენტრშია ადამიანი, მისი ინიციატივა, მისი მზადყოფნა კეთილად ეშენოს სოციალიზმი, იყოს თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი.

ადამიანის ფაქტორის აღმაღლება მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის შემდგომ დემოკრატიზაციას. უდემოკრატიოდ არ არის ინიციატივა, უდემოკრატიოდ არ არის უშუალო მონაწილეობა წარმოების მართვაში, უდემოკრატიოდ არ არის სოციალური სამართლიანობა, უდემოკრატიოდ არ არის თითოეულის თანაზიარობა მთელი საზოგადოების საქმეებთან.

სახალხო მეურნეობაში მიმდინარე გარდაქმნებზე თუ ვილაპარაკებთ, აქ გადავდიგართ მართვის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე, სრულ სამეურნეო ანგარიშზე. სახელმწიფო დაგეგმვაში, ფინანსურ პოლიტიკაში დასახულია ამოცანა, რომ უზრუნველყოთ სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოოპერაციის, ინდივიდუალურ-შრომითი საქმიანობის ჰარმონიული განვითარება. უნდა მოვუხსნათ უსაფუძვლო დაბრკოლებები სასაქონლო-ფულად ურთიერთობას, გადავიყვანოთ საწარმოები თვითდაფინანსებაზე. არსებითად იცვლება პოლიტიკა ხელფასის დარგში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მუშაობის შედეგებს. უზრუნველყოფთ საწარმოთა დამოუკიდებლობასა და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას, ახალ სამრეკველს ვუყრით საზღვარგარეთელ პარტნორებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გააქტიურებას, რაც, კერძოდ, ორმხრივ სარგებლობას მოუტანდა როგორც საბჭოთა, ისე იტალიურ საწარმოებს.

ჩვენი ძირითადი მეცადინეობის მიზანი ის არის, რომ შეგქმნათ ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მექანიზმი სოციალისტური პრინციპებისა და უპირატესობათა საფუძველზე, რომელებსაც წინათ ცუდად ვიყენებდით.

კითხვა: იანვრის პლენუმის შემდეგ საეჭვო აღარ იყო, რომ რადიკალურ რეფორმებზე გადასვლა ძალზე ძნელი საქმეა და საწინააღმდეგო მოქმედებას იწვევს. კერძოდ, 1986 წლის ივნისის პლენუმზე თქვენ განსაკუთრებით აღნიშნეთ განსახილველისადმი „წინააღმდეგობა“, რომელიც ვლინდება სავარაუდო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, იდეოლოგიური და ეთიკური ცვლილებების ყველა დარგში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იქიდან მოყოლებული ეს წინააღმდეგობა გაიზარდა, თუმცა სრულიად საკავშირო ალკ XX ყრილობაზე გამოსვლისას განაცხადეთ, რომ ტონს იძლევიან გარდაქმნის მომხრენი. თქვენ ბრეოვე თქვთ, რომ გარდაქმნას არ ჰყავს „პოლიტიკური მოწინააღმდეგენი“ და რომ ახლანდელი ეტაპის სიძნელენი „გვეხება ყველას“, ვინაიდან ეს ხომ ყველანი ჩვენი დროის შვილები ვართ“.

ამ წინააღმდეგობის ანალიზი საინტერესო ჭრილით შეუძლია გვიჩვენოს თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებამ. როგორი შეხედულებისა ხართ ამ პრობლემაზე? როგორი ფორმით გამოიხატება ეს წინააღმდეგობა? არის თუ არა საზოგადოების სფეროები, რომელებშიც ეს წინააღმდეგობა უფრო მეტადაა გამოხატული?

პასუხი: სხვა რომ არაფერი ითქვას, არარეალისტური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისეთი დიდი, რევოლუციური შემობრუნება, რომელიც ეხება მილიონობით ადამიანის,მთელი საზოგადოების ინტერესებს, ადვილად მიმდინარეობს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ გარდაქმნა ხანგრძლივი და ძნელი პროცესია. საქმისადმი, ადამიანებისადმი, მოვალეობებისადმი ახალ მოთხოვნებს ასეთი მკვეთრი შემობრუნების. დროს ერთნი უფრო სწრაფად ახორციელებენ, მეორენი — უფრო ნელა.

რა გვაქვს მხედველობაში, როცა ვლაპარაკობთ გარდაქმნისადმი წინააღმდეგობის შესახებ? საქმე ეხება ძველ მიდგომებს, ძველი ჩვევების ინერციას, სიაზლის, კონკრეტული საქმეებისათვის პასუხისმგებლობის შიშს. ხელს გვიშლის დაგროვილი ბიუროკრატიული დანაშრევებიც.

მაგრამ ერთი რამ უეჭველია— გარდაქმნა გაღრმავდა. პროცესში ებმება მოსახლეობის ყველა ფენა. იგი ეხება პრაქტიკულად ყოველი მოქალაქის ინტერესებს. საუბრებში, წერილებში, გამოსვლებში ხალხი ლაპარაკობს და წერს მხარდაჭერაზე, მოითხოვს ერთ რამეს — არ შევჩერდეთ, განვაგრძოთ გარდაქმნა და აუცილებლად მივიყვანოთ ბოლომდე დაწყებული საქმე.

კითხვა: „სხვა გზა არა გვაქვს“. ეს თქვენი გამოთქმაა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ „აუცილებლად“ მიგაჩნიათ გარკვეული გადაწყვეტილებანი, რომელთაგან ნაწილი არცთუ უმტკივნეულოა და, ალბათ, გამოავლენს საბჭოთა საზოგადოებაში არსებულ ღრმა კონფრაპტებს? ამავე დროს თქვენ არაერთხელ დაგიგმიათ ის ფაქტი, რომ საჭირო, დიდი ხნის მიგნებული გადაწყვეტები „არ მიუღიათ სათანადო დროს“. მინდა გკითხოთ, როგორ მოხდა, რომ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა? მას საფუძვლად უდევს მხოლოდ „სუბიექტური“ შეცდომები, თუ თქვენი აზრით, ისინი შეიერწყა ხელმძღვანელობის მექანიზმებისა და სტრუქტურების ფუნქციონირების, გადაწყვეტილებების მიღების, მართვის ყველაზე ნამდვილ დეფექტებს?

პასუხი: ამ კითხვას უკეი გაეცა პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. შევეხები მთავარს: საბჭოთა ხალხმა, ადგას რა ოქტომბრის გზას, უპირველდენტო გარდაქმნები განახორციელა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში. ვფიქრობ, ზედმეტია ველაპარაკოთ იტალიელ მკითხველს იმაზე, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა კავშირი დღეს და როგორია მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე. სიძნელეების თავდადათავი კი, რომელებსაც წაეგაწყდით ბოლო წლებში, სოციალისტური წყობილების ბუნება კი არ არის, არამედ მის შესაძლებლობათა არასაკმარისი გამოყენება, სოციალისტური დემოკრატია კი არა, როგორც ასეთი, არამედ მისი ფუნქციონირების ნაკლოვანებანი.

იმის მიზეზები რომ სოციალიზმმა ჩვენში ვერ შეძლო ეჩვენებინა თავისი ყველა შესაძლებლობა, წარმოეჩინა თავისი შინაარსის ყველა სიმდიდრე, მარტო სუბიექტურ სიბრტყეში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ იმ ისტორიულ ვითარებაშიც, რომელშიც აღმოვჩნდით. მეტისმეტად რთული, ულმობელიც კი იყო ის ობიექტური პირობები, რომლებშიც პირველებს მოგვიწია გვეშენებინა სოციალისტური საზოგადოება. ინტერვენცია, სამოქალაქო ომი, ეკონომიკური ბლოკადა, „სანიტარიული“ კორდონი, სამხედრო პროვოკაციები და იმპერიალიზმის განუწყვეტელი ზეგავლენა, და, ბოლოს, გააფთრებული შეტაკება ფაშიზმთან, რომელიც საბჭოთა ხალხს უდიდესი ძალისხმევისა და მსხვერპლის ფასად დაუჯდა. შემდეგ ომით დანგრეული ყველაზე განვითარებული რეგიონების აღდგენა, თანაც დასავლეთის მიერ თავსმოხვეული „ცივი ომის“ პირობებში. აი ის კონკრეტული სიტუაცია, რომელშიც საბჭოთა ხალხი ცხოვრობდა და იბრძოდა, აშენებდა და ავითარებდა სოციალიზმს.

საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნისათვის გამიზნ ულ ი ჩვენი დღევანდელი გეგმები კაბინეტში მოცლილობის ყამს ნაფიქრის ნაყოფი როდია. ეს გეგმები დიდი ცვლილებების ობიექტურად მომწიფებული მოთხოვნილების გამოხატულებაა.. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ იმისაკენ, რომ მთელი ძალით ჩავრთოთ სოციალიზმის თვითმმართველობის „მოტორი“, უფრო სრულად ავამოქმედოთ მისი აღმშენებლობითი პოტენციალი.

კითხვა: თქვენს გამოსვლებში მუდამ მიმართავთ საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის თემას, რომელსაც მეტ ადგილს უთმობთ. და მაინც, ეს-ეს არის დაიწყო ამ საკითხის ფართო განხილვა, და ზოგიერთი უკვე გამოთქვამს შენიშვნებს, იქვს, თითქოს „ზედმეტ“ დემოკრატიას შეუძლია რაღაც საშიშროება შეუქმნას საზოგადოებრივ წყობილებას. თქვენ თავად ბრძანეთ, რომ ეს კამათი არ მიგაჩნიათ რაღაც ნეგატიური კამათად, რადგან „მასში იგრძნობა ზრუნვა საზოგადოების სტაბილურობისათვის“. რა თვალსაზრისით შეიძლება დემოკრატიზაციამ საშიშროება შეუქმნას სტაბილურობას?

პასუხი: ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიზაცია ვერავითარ ზიანს ვერ მოუტანს სოციალიზმს. უკვე იმიტომ, რომ თავისი ბუნებით სოციალიზმია სწორედ დემოკრატია, ხალხის ხელისუფლება. სოციალისტური მშენებლობისათვის რისკი ჩნდება მაშინ, როცა ბიუროკრატიული ურწმუნობა იმარჯვებს ხალხის გონებასა და პოლიტიკურ შეგნებაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკითხზე საკმაოდ გარკვეული აზრი გამოთქვა. პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში ამ საკითხების განხილვამ ცხადყო, რომ დემოკრატიზაციის კურსს მხარს უჭერენ უფროსი მასები. არსებული აზრთა სხვადასხვაობა ეხება ყველაზე მეტად, პროცესის მასშტაბის, სიღრმის, ტემპის საკითხებს. ეს სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია. ეს ის არის, რითაც გამოირჩევა დემოკრატიული პროცესი.

ახლანდელი ჩვენი კამათი თანამოაზრეთა კამათია, რომელთაც გული შესტკივათ დაწყებულ გარდაქმნათა წარმატებისათვის. გულწრფელად ვზრუნავთ იმისათვის, რომ საზოგადოების დემოკრატიზაციამ ძალა მოიკრიბოს, და ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ დემოკრატიას საერთო არა აქვს რა გაუკეთხობასთან და ანარქიასთან. ზუსტად ისევე, როგორც გონივრულ სოფლისეულ არაფერი აქვს საერთო თავიზღვევიაობასთან.

ამასთან შეგნიშნავ: ბურეუაზიულ პრესაში ჩვენთან მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესს უარყოფართად განმარტავენ. ცხადია, ვიღაცას ძალზე სურს დაარწმუნოს თავისი მკითხველები და მსმენელები, თითქოს საბჭოთა კავშირში ბოლოს და ბოლოს დაარირეს მიუახლოვდნენ იმ დემოკრატიას, რომელიც დასავლეთში აქვთ. საქმე, მე გიტყოდი, სრულიად სხვაგვარადაა. ჩვენ ვავითარებთ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ლენინური პრინციპების თავდაპირველ არსს საბჭოთა საზოგადოებისა და ხალხის მიერ დაგროვილი პოლიტიკური და კულტურული პოტენციალის გათვალისწინებით, სოციალისტური დემოკრატია ჩვენი მიზანიც არის, პირობაც და გარდაქმნის მძლავრი საშუალებაც.

კითხვა: დემოკრატიზაცია შეიძლება გულისხმობდეს სხვადასხვა ცნებას. მაგალითად: არჩევნების მოწყობის პრაქტიკის შეცვლას, საბჭოების უფლებამოსილებათა ზრდას, შრომითი კოლექტივების უფლებათა გაფართოებას, თვითმმართველობის მოწინავე ფორმების დანერგვასაც კი, იმის მსგავსად, რომელსაც ითვალისწინებს ახალი კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ. დემოკრატია შეიძლება ნიშნავდეს ახალ იურიდიულ გარანტიებსაც, რომლებიც დაიცავენ თითოეულ მოქალაქეს სახელმწიფო და პარტიული აპარატების ყოვლისშემძლეობისაგან და მიანიჭებენ მას უფლებებს, რომელიც აქამდე არ შეგვხვედრია საბჭოთა საზოგადოების პრაქტიკაში. როგორც ჩანს, ზოგნი ფიქრობენ, რომ საბჭოთა ხალხს არ ძალუძს აითვისოს დემოკრატიის „მეტისმეტად“ ძლიერი დოზა. თქვენ კი სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვით. თქვენი აზრით, როგორ უნდა მივუდგეთ ამ დარგში ღრმა ცვლილებების მოთხოვნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ფაქტორის სრულ უკუგებას? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თვით გარდაქმნისათვის უნდა განხორციელდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფართო რეფორმები? და ბოლოს, ხომ არ ფიქრობთ, რომ „სოციალური უფლებებისა“ (შრომის, ბინის, განათლების, მატერიალური უზრუნველყოფის უფლება და ა. შ.) და „პირადი უფლებებისა“ (აზრების თავისუფლების გამოთქმა და გავრცელება პოლიტიკური ორგანიზაციის, ქვეყნიდან გასვლა-შემოსვლის უფლება და ა. შ.) დაპირისპირება უკვე შეიძლება დაეძლიოთ არა მარტო დასავლეთთან პოლემიკაში, არამედ სსრ კავშირის დღევანდელი დღის საზოგადოებრივ-იურიდიულ პრაქტიკაშიც.

პასუხი. თქვენი კითხვა შეიცავს ზოგიერთი პრობლემის ისეთ განმარტებას, რომელსაც არ ვეთანხმები. კერძოდ, იმას, თითქოს დემოკრატიის პროცესს ჩვენ თითქმის ნულიდან ვიწყებდეთ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. უკვე თვით ოქტომბრის რევოლუციამ დასაბა პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, თანასწორობისა და სამართლიანობის დამკვიდრების ახალი გზა, და განა შეიძლებოდა ხალხს თავისი ნება-სურვილის გარეშე განეხორციელებინა ძირეული რევოლუციური გარდაქმნები, დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აღედგინა დანგრეული ქვეყანა, მიეღწია სოციალური და კულტურული პროგრესის თანამედროვე სიმაღლეებისათვის.

დიახ, ჩვენს ისტორიაში იყო სიძნელეები, შეცდომები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, იყო სოციალისტური კანონიერებისა და დემოკრატიული ნორმების დარღვევები.

ეს ჩვენი ისტორიული გზის რეალობებია. ჩვენ მათ სწორედ ასეთ შეფასებას ვაძლევთ. გარდაქმნა ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ჩვენ მისი განხორციელებისას ვიყენებთ საზოგადოებრივი განვითარების მონაპოვრებს, ამასთან დასკვნები გამოგვაქვს წარსულის გაკვეთილებიდან. გარდაქმნა ნიშნავს სოციალისტური დემოკრატიზმის გაღრმავებასა და ხალხის თვითმმართველობის განვითარებას. საქმე ეხება არა ჩვენი პოლიტიკური სისტემის რღვევას, არამედ მისი შესაძლებლობების უფრო სრულ, უფრო ეფექტიან გამოყენებას.

ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯების ჯერი დადგა, მზადდება საკანონმდებლო აქტები, რომელთა მიზანია მეტი სტაბილურობა და შეუქცევადობა მიანიჭოს დემოკრატიზაციის პროცესს. მიზანი ერთია — კიდევ უფრო თანამიმდევრულად განვამტკიცოთ მშრომელი ხალხის ხელისუფლება, მივანიჭოთ მას შემოქმედების მეტი თავისუფლება, გავაფართოოთ საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების მთელი სისტემა. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ამ უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის საშუალებებია ჩვენი საბჭოთა კანონები და ფართო სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები. ეს მთლიანად შეესაბამება ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებს.

კითხვა: კომკავშირის ამასწინანდელ ყრილობაზე გამოსვლისას თქვენ განაცხადეთ, რომ არ შეიძლება სოციალიზმი უდემოკრატიოდ. ხომ არ გგონიათ, რომ გარკვეული ანალოგიაა თქვენს ამ მტკიცებასა და დემოკრატიის, როგორც „უნივერსალური ღირებულების“ შესახებ ერთ დროს ცნობილ ბერლინგუერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას შორის.

პასუხი: სავსებით ბუნებრივია, რომ პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც თავიანთ ცხოვრებასა და საქმიანობას უკავშირდნენ კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლას, ბევრს ფიქრობდნენ საერთოდ დემოკრატიის მნიშვნელობასა და როლზე, სოციალისტური გარდაქმნების დროს განსაკუთრებით, და უცილობლად უდგებოდნენ მას, სხვადასხვა მხრიდან ადგილისა და დროის, კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. მათი პრინციპული მდგომა ერთია. მას სათავე ვ. ი. ლენინმა დაუდო, როგორც ხაზგასმით აღნიშნა: „არ არის სხვა გზა სოციალიზმისაკენ, გარდა დემოკრატიზმისა, პოლიტიკური თავისუფლებისა“, ამას დავუმატებ: ჩვენში აშენებული სოციალიზმის თვითსრულყოფისა და თვითგანახლების სხვა გზა არა გვაქვს, გარდა დემოკრატიზმის გაღრმავების გზისა.

დემოკრატიზაციის თავისთავადი ღირებულება ის არის, რომ მისი მეშვეობით — მატერიალური წანამძღვრების შექმნასთან ერთად — უნდა შეიქმნას თითოეული პიროვნების ყოვლმხრივი განვითარების, მისი მოქალაქეობრივი აქტიურობისა და პასუხისმგებლობის პირობები.

ამასთან დემოკრატიზაცია რეალურია, როცა იგი ემყარება საზოგადოებრივი საკუთრებისა და ექსპლოატაციის უქონლობის მყარ საფუძველს, როცა იგი უზრუნველყოფს საზოგადოების მთელი ინტელექტუალური, სულიერი ძალების დარაზმვას მისი გარდაქმნის, სოციალიზმისათვის ყველაზე თანამედროვე ფორმების მინიჭების მიზნით.

ამის გამო დემოკრატიზაცია ყველა სფეროში გვევლინება გარდაქმნის მთელი საქმის მთავარ იარაღად და გარანტიად.

კითხვა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საბოლოოდ უარყო ციმბირის ზოგიერთი მდინარის ნაკადის ნაწილის გადაგდების პროექტი, აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოცხადდეს მოსკოვში მშენებარე ნაციზმსა და ფაშიზმზე გამარჯვების ძეგლის საუკეთესო პროექტის ღია კონკურსი. ორივე შემთხვევაში დაუფარავად იყო ხაზგასმული, რომ ეს შედეგი მიღწეულ იქნა „საზოგადოებრივი აზრის“ როლის წყალობით. ეს საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ნიშნებია. რა ნაბიჯები მიგაჩნიათ საჭიროდ და შესაძლებლად ახლანდელ ეტაპზე — უწინარეს ყოვლისა ინფორმაციის დარგში — იმისათვის, რომ საზოგადოებრივ აზრს მიენიჭოს უფლება გამოხატოს თავისი მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებათა მიღებაში და უშუალოდ მაიჩიოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენათა მსვლელობაში?

პასუხი: დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, რომელიც გაბედულად დაიძრა გარდაქმნისა და დემოკრატიული განახლების გზით, უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ ყველას — იქნება ეს მუშა, კოლმეურნე, მეცნიერი თუ შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელი — შეჰქონდეს დამოუკიდებელი, ინდივიდ უ ა ლური და ორიგინალური წვლილი როგორც გეგმებისა და გადაწყვეტილებების განხილვაში, ისე მათს განხორციელებაში.

ამ საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ და შეასრულებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ისინი, რა თქმა უნდა, ხალხის ნება-სურვილის გამოხატვის ერთადერთ არხს არ წარმოადგენენ. მაგრამ ეს საჯაროობის საშუალებე წარმომადგენლობითი და მასობრივი ტრიბუნაა. პარტია დაინტერესებულია იმით, რომ მოქალაქეობრივი ხმა ამ ტრიბუნიდან გაისმოდეს ყოველგვარი „შეფერხებებისა“ გარეშე, რომ იგი არა მარტო აცნობდეს ხალხს ქვეყანაში მიმდინარე დისკუსიებს, რომელთათვის არ არის აკრძალული ზონები, არამედ იყოს გარანტიც დემოკრატიული კონტროლისა იმისადმი, სწორია თუ არა გადაწყვეტილებანი, რამდენად შეესაბამება ისინი მასების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, შემდეგ კი სრულდება თუ არა ეს გადაწყვეტილებანი. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ ყველა დონის ხელმძღვანელები დროულად და საქმიანად უპასუხებდნენ პრესის შეკითხვებს, მათი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. ამჟამად მზადდება კანონი პრესის შესახებ, რომლის მიღება კიდევ უფრო განამტკიცებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სამართლებრივ სტატუსს.

გასაგებია, რომ საზოგადოებრივი აზრის ქმედითობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კომპეტენტურია იგი, აქვს თუ არა უტყუარი ინფორმაცია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებას, რომელიც შეგნებულად, აქტიურად იბრძვის თავისი ფიზიკური და ზნეობრივი სიჯანსაღისათვის, არ სჭირდება საკუთარი სნეულებების დამალვა — ეს მხოლოდ აძნელებს მათ განკურნვას. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საჯაროობის გაფართოება მიაჩნია საზოგადოებრივი აზრის გააქტიურების მძლავრ საშუალებად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი გაახალების ინტერესებისათვის.

კითხვა: საბჭოთა ინტელიგენცია აზრთა აშკარა სხვაობის მიუხედავად, ხალისით გამოეხმაურა გაწყობას და დაირაზმა მის მხარდასაჭერად. კინემატოგრაფისტთა, მწერალთა, ჟურნალისტთა კავშირების ყრილობებმა ცხადყვეს დიდი გამოცოცხლება და ბრძოლის სურვილი. მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა თვითგამოხატვის თავისუფლების დარგში, აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელ როლსა და კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედების ურთიერთობაში.

როგორ აფასებთ საკითხების ამ კომპლექსს?

პასუხი: ჩემთვის ცნობილია დისკუსიები, რომლებიც ჩვენს შემოქმედებითს კავშირებში მოეწყო, და უნდა გითხრათ, რომ ვერ შეეტყვე მათ პარტიისადმი ინტელიგენციის დაპირისპირების ცდა. პირიქით, შემოქმედმა ადამიანებმა, ისევე როგორც მთელმა ინტელიგენციამ, აქტიურად აუბა მხარი პარტი

სახალხო დღესასწაულებზე

გარეჯობა

სახალხო დღესასწაულს გარეჯობას სოფელ უდაბნოს მშრომელები ყოველთვის საგულისხმო სიახლეებით ხვდებიან. წელს უდაბნოელებს სვანეთიდან ჩამოსახლებული 55 ოჯახი ახალ ძალად მოეკლინა. ახალმოსახლენი ერთბაშად საყოველთაო შრომის ფერხულში ჩაებნენ. გაზაფხულზე უდაბნოელებმა საერთო ძალებით სოფლის ცენტრში გააშენეს პარკი, მოაწყვეს გაზონები და ყვავილნარები, დარგეს ათასამდე ხე და ბუჩქი.

სოფლელებმა ახალ შენაძენს მეგობრობის პარკი უწოდეს და წლევანდელი, მე-12 გარეჯობაც მისი გახსნით დაიწყო.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ საგარეჯოს რაიონთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ბოგდანოვკის რაიონის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის თიუზისა და სომხეთის სს რესპუბლიკის შამშადინის რაიონების მშრომელთა. წარმომადგენლები. სტუმრებმა მეგობრობის პარკში ხეები დარგეს.

სოფლის ცენტრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა არქეოლოგიური მუზეუმი. სტუმრებმა დაათვალიერეს ამ მხარეში აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის მეორე და პირველი საუკუნეების მიჯნების ნაქალაქარები და რკინის მადნის დამუშავების კერები, მილიონი წლის წინათ გაქვავებული ტყისა და ცხოველთა ნაშთები, სხვა ენციკლოპედია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე და კახეთის არქეოლოგიის ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი კიაზო ფირცხელაური დამთვალიერებლებს ესაუბრნენ ამ არქეოლოგიური აღმოჩენების უდიდეს მნიშვნელობასა და ამ მხარის შესწავლის მომავალ პერსპექტივებზე.

ზეიმმა ტრადიციულად დავითის ლავრასთან, თეატრონზე გადაინაცვლა, სადაც მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეს წლეულს სვანური კოშკიც შეემატა, რომელიც ჭირში თანადგომის, მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის სიმბოლოდ არის აღმართული. თეატრონზე წარმოდგენილი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიციაც მთლიანად ამ იდეის გამოხატულება გახლდათ.

უდაბნოელებმა ირჩიეს სოფლის საპატიო მოქალაქენი.

დღესასწაულში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე. (საქინფორმი).

ვეძებოთ ახალი გზები

თბილისი ცხოვრობს XX საკავშირო კინოფესტივალის რიტმით. ქალაქის კინოთეატრებში უკვე აჩვენეს საკონკურსო და კონკურსგარეშე ფილმების პირველი სეანსები. მათ გამო მიმდინარეობს დაინტერესებული და ღრმაშინაარსიანი სჯა-ბაასი.

ერთი წელი გავიდა საბჭოთა კინემატოგრაფისტების V ყრილობის შემდეგ, რომელმაც განსაზღვრა ახალი გზები ხალხის საყვარელი ხელოვნების ცხოვრებაში. თბილისში მოწყობილი დათვალიერება პირველი მიჯნა, პირველი შედეგია. ეს დღესასწაული გვაძლევს საბაბს უკან მოვიხედოთ, გავაანალიზოთ, ვეცადოთ საქართველოს კინემატოგრაფის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი პროცესი.

— **თბილისს** ბოლო კინოფორუმის შემდეგ განვლილი თხუთმეტი წელი საინტერესო და ამავე დროს ძნელი წლები იყო. მრავალი კარგი ფილმი, სცენარი დაძველდა დახლებზე. მაგრამ, ამის მიუხედავად, საბჭოთა კინოხელოვნება ცოცხლობდა და ვითარდებოდა. ახლა სხვა დროა. ცვლილებებს ახალი სიო კინემატოგრაფსაც შეეხო. ეკრანზე გამოდის ფილმები, რომლებიც საქინფორმის კორესპონდენტები ამაზე ესაუბრებიან ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეებს.

ე. შენგელაია,

მხატვრული ფილმების ჟიურის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

— **თბილისს** ბოლო კინოფორუმის შემდეგ განვლილი თხუთმეტი წელი საინტერესო და ამავე დროს ძნელი წლები იყო. მრავალი კარგი ფილმი, სცენარი დაძველდა დახლებზე. მაგრამ, ამის მიუხედავად, საბჭოთა კინოხელოვნება ცოცხლობდა და ვითარდებოდა. ახლა სხვა დროა. ცვლილებებს ახალი სიო კინემატოგრაფსაც შეეხო. ეკრანზე გამოდის ფილმები, რომლებიც არაკანონზომიერად შეაფერხეს საცავებში, საზოგადოებრივი აზრის უყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ახალი ფილმები, რომლებიც ზენით ალბათ „მეორე ეკრანს“ ვერ გასცდებოდნენ. ისინი იგზავნება საკავშირო და საერთაშორისო დათვალიერებებზე, სადაც საპატიო ჯილდოებს იმსახურებენ... იმედი გვაქვს, რომ XX ფესტივალიც მოგვანიჭებს დროის სულისკვეთების შესაბამის მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ფილმებთან შეხვედრების სიხარულს.

ლ. ლოლოგერიძე,

სახავშვო და ახალგაზრდული ფილმების ჟიურის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

— **ალბათ** აზრი არა აქვს იმის თქმას, თუ რაოდენ პასუხსაგებია მოზარდი თაობისათვის ფილმების შექმნა. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბება, მისი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პოზიციები, ესთეტიკური მოთხოვნილებები. მონაწილეობა მიმიღია კინოფესტივალებში, სადაც მაყურებელს ჟიურის გადაწყვეტილების წინაღმდეგ პროტესტის ნიშნად სტვენა აუტეხია... ვფიქრობ, ამ ფესტივალზე ჩვენი არჩევანი დაემთხვევა მაყურებელთა სიმპათიებს და ჯილდოებს მიიღებენ ის ფილმები, რომლებიც გზას გაიკვლევენ მოზარდთა გულისაკენ, შეძლებენ პატიოსნების, სიკეთის ტაძრის აგებას.

რ. გაბრიაძე,

ნახატი და თოჯინური ფილმების ჟიურის თავმჯდომარე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

— **ფულფილმები** ყველაზე ფაქიზი და სათუთი ხელოვნებაა, ვინაიდან იგი ბავშვების აღზრდის საქმეს ემსახურება. ფესტივალზე ნაჩვენები იქნება დაახლოებით 50 მულტიპლიკაციური ფილმი, რომლებიც პრაქტიკულად ქვეყნის ყველა კინოსტუდიაშია შექმნილი. მათ შორის არის „პრინცესა და პუმა“, „თაგუნიას სიკვდილი“, „ერთი ქალა ოქრო“, „ალაბინო“, „ბაბაჯანა“, „მამილო“, „ჟირაფი“, „გაზაფხულის ბუზი“. ჩვენ გვინდა, რომ ეს ფილმები პატარა მაყურებელს დაეხმაროს გაარჩიონ სიკეთე და ბოროტება, ჩაუნერგოს მათ სუფთა, ესთეტიკური ადამიანური თვისებები.

მ. კოკოჩაშვილი,

სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჟიურის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი

— **დოკუმენტური** კინოკინემატოგრაფის სწორედ ის დარგია, რომელიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს გარდაქმნის პროცესში. სამწუხაროდ, სწორედ დოკუმენტურ კინოში მიმდინარეობს ნელა ეს პროცესი. ამიტომ საფესტივალო აფიშაზე წარმოდგენილი უამრავი ფილმიდან უპირატესობას მივანიჭებთ იმ ფილმებს, რომლებიც აქტიურად იჭრებიან ცხოვრებაში, წარმოაჩენენ მას მთელი მისი მრავალფეროვნებით, ასახავენ ჩვენი საზოგადოების განახლების ამაღელვებელ პროცესებს.

* * *

უალრესად დატვირთულია XX საკავშირო კინოფესტივალის სამუშაო დღეები. კინემატოგრაფისტები ხვდებიან თბილისის შრომითს კოლექტივებს. რეჟისორები, მსახიობები, ოპერატორები მაყურებელს უამბობენ, თუ როგორ ქმნიან ფილმებს, უზიარებენ სამერმისო გეგმებს, გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს დედაქალაქის მომთხოვნი და კეთილმოსურნე მაყურებელი ობიექტურად შეაფასებს ფილმებს და ეს „სამუშაო ატესტაცია“ კინოს ოსტატებს შესაძლებლობას მისცემს უფრო ღრმად ჩაწვდნენ თანამედროვე მშრომელის სულიერ სამყაროს, უფრო სრულად წარმოაჩინონ დღევანდელი გმირის სახე.

* * *

სურათზე: XX საკავშირო კინოფესტივალის მონაწილენი — (მარცხნიდან) რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ა. რომაშინი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ლ. ფედოსეევა-შუქშინა, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი მ. ტერეხოვა და კინოსტუდია „მოლდავფილმის“ კინორეჟისორი ვ. ედერეკი.

ფ. კრიმსკის ფოტო.

სტატისტიკა და ადამიანები

მშრალი სეტყვა

ეს ტერმინი დიდი ხანია აღარ გაგიგონია. 18 მაისს თავს დამტყდომია სეტყვამ კი კვლავ მოაგონა იგი ჯახელებს. რატომ მშრალიო?! — იკითხავს ალბათ მკითხველი. იმიტომ, რომ ამჯერად სეტყვას, წესისამებრ, წვიმა არ უძღოდა, თუმცა, მოგვიანებით მაინც გაწვიმდა.

თითქოს განგებ მოხდაო, ახლა სტიქიამ თელავის რაიონის ის სოფლები შეარჩია, რომლებიც 12 მაისს შრალად გადარჩა. ძლიერ დაისეტყვა კონდოლის, ბუშეტის, ვანთის, აკურის, ქვედა ხოდაშნის, წინანდლისა და შალაურის საზოგადოებრივი თუ საკარმიდამო ნაკვეთები. ამჯერად 1600 ჰექტარი ფართობი დაისეტყვა და აქედან 550 ჰექტარი მთლიანად გაჩანაგდა. ფოთოლი რომ ფოთოლია, ისიც კი არ შერჩენია ვაზს.

დაზიანდა მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულ-ბოსტნეულის ნათესებიც. მთლიანად რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის 12 მაისს მიყენებულ ზარალს, რომელმაც 11 მილიონ 456 ათას 800 მანეთი შეადგინა, ამჯერად 4 მილიონი მანეთის ზარალიც დაემატა...

სტიქია ყვარლის რაიონის გრემის, საბუისა და ენინლოს სავარგულებსაც მისწვდა და აქაც დიდალი ზარალი მიაყენა ადგილობრივ მეურნეობებს.

დღეს ვენახებში, რომ იტყვიან, ჩუდზე კაცია გასული. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქარაშხლისაგან წაქცეული რიგთაშორისების აღდგენა, ვაზის ფორმირება და შეწამლა.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

იხაროს ჭერმა

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის საჯელობის შახტი ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას — წელიწადი ისე არ გავა, ახალი საცხოვრებელი სახლი რომ არ გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ამ ცოტა ხნის წინათ შახტის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი, 60-ბინიანი სახლის მშენებლობა დამთავრდა და მრავალმა ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. ახალი სახლის გვერდით დაიწყო ისევდევე ტიპის საცხოვრებელი ნაგებობის მშენებლობა, ასე რომ, მომავალში კიდევ სამოცი ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას. საერთოდ კი მიმდინარე ხუთწლედში ახალ ბინებს 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე მიიღებს.

გაერიარაღება და განვითარება

დამთავრდა არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია

სტოკჰოლმი. შვეციის დედაქალაქში დამთავრდა „არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია „გაერიარაღება და განვითარება“. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ 47 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამი დღის მანძილზე ისინი განიხილავდნენ განიარაღებისა და განვითარების პრობლემათა ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტს, გამალებული შეიარაღების უარყოფით შედეგებს მსოფლიო ეკონომიკისათვის.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი არასამთავრობო ორგანიზაციების ეენეკვის სპეციალური კომიტეტის გამსვლელი სხდომა, რომლის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციისათვის გამიზნულ საბჭოთა ინიციატივებს. მათი აზრით, ეს წინადადებები ქმნის ევროპის კონტინენტზე უშიშროების პრობლემების პრინციპულად ახალ საფუძველზე გადაჭრის ყველა შესაძლებლობას. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ დარგში შეთანხმების მიღწევა უნდა გახდეს ბირთვული იარაღისაგან ევროპის სრული განთავისუფლების გზაზე გადადგმული პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ფორუმის მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი განცხადება, რომელშიც აღინიშნულია, რომ განიარაღებისა და განვითარების პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. უშიშროებას, ნათქვამია განცხადებაში, ვერ უზრუნველყოფს სამხედრო ძალა, მას საფუძვლად უნდა დაედოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ასპექტების გათვალისწინება და ბირთვულ საუკუნეში საყოველთაო ხასიათი უნდა ჰქონდეს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია გამალებული შეიარაღების კოლოსალური სახსრების ხარჯვა, როდესაც მილიონობით ადამიანი დედამიწაზე იტანჯება შიმშილის, სიღატაკის, უწიგნურობის გამო, მოკლებული სამედიცინო მომსახურებას.

უპირველესი ხასიათი უნდა ჰქონდეს მეცადინეობას ბირთვული იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციისათვის, აგრეთვე ყველა სახეობის იარაღისაგან თავისუფალი კოსმოსური სივრცის შეარჩუნებისათვის. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის რეალიზაციის შეწყვეტა გააადვილებდა განიარაღების მიღწევას ორივე ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღების, ისე ბირთვული იარაღის დარგშიც. გამოთავისუფლებული სახსრები შეიძლება მობილიზდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებსა და საჭიროებებს.

მრავალმა დელეგატმა დაუჭირა მხარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამოყენებულ საბჭოთა ინიციატივას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო და სამხედრო ხარჯების რეალური შემცირების შესახებ მორიგების მიღწევის შემდეგ დაწესდეს განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების საერთაშორისო ფონდი. ამ ფონდში გადაირიცხება სამხედრო კავშირების მონაწილე სახელმწიფოების, აგრეთვე სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებული სხვა ქვეყნების მიერ დაზოგილი სახსრების ნაწილი. კონფერენციის შედეგების შეჯამებისას შვეციის წარმომადგენელმა მაი-ბრიტ ტერორინმა განაცხადა, რომ გამალებული შეიარაღება ამორალურია როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების, ისე საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

19 მაისი ● საკდესი იუწყება

◆ გფრ

მზადდება მასობრივი მანიფესტაცია

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის საკოორდინაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პერდ გროინემ მოუწოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივობას ზემოქმედება მოახდინოს კოლის მთავრობაზე, რათა ხელი აალებინოს მას ბირთვული განიარაღების საკითხებში ობსტრუქციულ პოზიციაზე. პრესბიულეტენის „პარლამენტარიშ-პოლიტიშერ პრესენდიტენსთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ამ მიზანს ისახავს, კერძოდ, მასობრივი მანიფესტაცია ბონში 13 ივნისს, რომელსაც ახლა აქტიურად ამზადებენ მშვიდობის მომხრენი. მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სოციალ-დემოკრატები, კომუნისტები, პროფკავშირებისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების წევრები, ჩაიგლის ლოზუნგებით — „დავიწყოთ ბირთვული განიარაღება“, „დავამასხვიროთ რაკეტები“, „შეგვმთხვიოთ უბირთვო ევროპა“.

◆ აუშ

თეთრი სახლის ახალი ტაქტიკა

ნიუ-იორკი. თეთრმა სახლმა **ახალი ტაქტიკა აირჩია მისი უშუალო მონაწილეობით „ირან-კონტრრევოლუციონერებთან“ ოპერაციის დროს კანონსაწინააღმდეგო ბრალდებებისაგან თავის დაცვისას, განაცხადა პარვარდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კონსტიტუციური უფლების პროფესორმა ლაურენს ტრაიბმა.** თავდაპირველად, ხაზგასმით აღნიშნა მან ტელეკომპანია ეი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში, ადასტურებენ, რომ პრეზიდენტმა რეიგანმა არ იცოდა ამ ფარული ოპერაციის ამბავი. მაგრამ ახლა, როცა გროვდება დადასტურებანი, რომლებიც საქმის საპირისპიროს მოწმობს, რეიგანი არა მარტო აღიარებს თავის მონაწილეობას, არამედ აცხადებს კიდეც, რომ ამაყობს იმ როლით, რომელიც შეასრულა კონტრრევოლუციონერთა მხარდაჭერაში. ამასთან თეთრი სახლი ადასტურებს, რომ პრეზიდენტს არ დაურღვევია კანონი, რადგან მის მიმართ არ გამოიყენება ასეთი დახმარებისათვის კონგრესის მანამდე მოქმედი აკრძალვა. მაგრამ, აღნიშნა პროფესორმა, ასეთი მტკიცებანი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ფანდია. სინამდვილეში პრეზიდენტმა რეიგანმა უხეშად დაარღვია ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური მოვალეობა — უზრუნველყოს კანონის განუხრელი შესრულება. ირან-ნიკარაგუის ოპერაციაში პრეზიდენტის მონაწილეობა იძლევა იმის საფუძველს, რომ მას ჩამოერთვას ძალაუფლება იმპიჩმენტის პროცედურის გზით, ამბობს მეცნიერი იურისტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

შეიტანეს სამუშაო დოკუმენტი

ნიუ-იორკი. უნგრეთის დელეგაციამ **გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის აქ მიმდინარე 54-ე სესიის მონაწილეთა განსახილველად შეიტანა სამუშაო დოკუმენტი „განიარაღება ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში“.** მასში დაფიქრებულია არის ჩამოყალიბებული სოციალისტური ქვეყნების მიდგომა ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემისადმი, რომლის გადაჭრა ბირთვული და ქიმიური იარაღის განადგურებასთან ერთად საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის უთუო პირობაა. უპირველესად, კარდინალურად უნდა შემცირდეს შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება ევროპის კონტინენტზე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წამოყენებული ასეთი შემცირების პროგრამის რეალიზაცია ხელს შეუწყობს გლობალური მასშტაბით სამხედრო კონფრონტაციის დონის დაქვეითებას, ხაზგასმულია დოკუმენტში.

წარმატებით დაიწყეს

საქართველოს კოლექტივის გასტროლები ინგლისში

ლონდონი. ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს თეატრ „პალადიუმში“ დიდი წარმატებით გაიმართა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველი კონცერტი. ლონდონში საბჭოთა მსახიობების გამოსვლა დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში კოლექტივის გასტროლების ნაწილია. თითქმის ორი თვის მანძილზე ანსამბლი საქართველოს თავისთავად ხელოვნებას უჩვენებს აგრეთვე ინგლისის, შოტლანდიისა და უელსის 16 ქალაქში. დედაქალაქში ჩამოსვლამდე ქართველმა მსახიობებმა კონცერტები გამართეს დუბლინსა და ბელფასტში. ეს ბრიტანეთის კუნძულებზე მხატვრული კოლექტივის უკვე მეშვიდე მოგზაურობაა. ბოლოს საქართველოს დასი აქ საგასტროლოდ ორი წლის წინათ იყო და მაყურებელთა და კრიტიკოსთა დიდი შეფასება დიმსახურა.

◆ ნიკარაგუა

ამჟამად ნიკარაგუის ყავის პლანტაციებში ახალი მოსავლის ასაღებად ნამდვილი ბრძოლაა გაჩაღებული, რომელშიც ადგილობრივ მოსახლეობასთან და სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებთან ერთად მონაწილეობს ათასობით მოხალისე სხვა ქვეყნებიდან. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარგზავნილები.

სურათზე: სოლიდარობის ბრიგადის წევრები პატარა ქალაქ მატაგალპის ეკუჩებში.

ბტა-საკდესის ფოტო.

ფოტოინფორმაცია

◆ ნიკარაგუა

ბიჯები ეკრანზე

მოსკოვი

20 მაისი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — კინოფიშა. 9.50 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები. ტელეფილმი „ერთხელ არჩეული გზა. 1887-1893 წლები“. ფილმი I — „ჩვიდმეტი წლის ასაკში“. ფილმი II — „შეხვედრა“. 11.50 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — „გამარჯვება, მუსიკავ“. 17.45 — მეცნიერების და შრომის კავშირი. დოკუმენტური ფილმები. 18.25 — ახალი ამბები. 18.30 — თანამედროვე მსოფლიო და მუშათა მოძრაობა. 19.00 — კონცერტი. 19.15 — მედიცინა გარდაქმნის მიჯნეებზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 20.40 — ახალი ამბები. 20.45 — ი. სტრავინსკი — კონცერტი რე მაჟორი სიმებიანი ორკესტრისათვის. 21.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები. ტელეფილმი „ერთხელ არჩეული გზა. 1887-1893 წლები“. ფილმი II — „შეხვედრა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პოლონტაკური თეატრი. „ლეონარდოს მორალი“. 23.55 — დღეს მსოფლიოში. 0.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 0.45 — მშვიდობის ველორბოლა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 და 15.00 — გერმანული ენა. 10.55 — ი. სოკოლოვ-ნიკიტოვი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები. 11.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ლენინგრადი — დიდი ოქტომბრის აკვანი“. 12.05 — ს. გუძენკოს პოეზია. 12.40 — მხატვრული ტელეფილმი „უმენიკეები“. I და II სერია. 15.30 — ახალი ამბები. 15.35 — სოფლის საათი. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — საავტომობილო სპორტი. 19.45 — კინოჟურნალი „მშენებლობა და არქიტექტურა“. 19.55 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურიდან. 20.45 — ბამი: სოციალური ასპექტები. გადაცემა მე-6. 21.00 — „ბილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ყველასთვის და თითოეულისათვის. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „უმენიკეები“. II სერია. 23.50 — სასტენდო სრო�a. მსოფლიო თასი. 0.10 — ახალი ამბები.

ლენინგრადი

20 მაისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.45 — ახალი გრამფირფიტები. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.50 — კინოჟურნალი. „მეცნიერება და ტექნიკა“. 16.00 — ტელეკურსელეთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შვეიცარელთა გერმანული ენა. 17.20 — დოკუმენტური ფილმი — „გარდაქმნა“. 17.40 — „ძახილი“. ლიტერატურული კომპოზიცია. 17.55 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.30 — განცხადებები. 18.35 — გარდაქმნის გზით — აგრომრეწვის ერთი წელი (გადაცემა მესამე). 19.25 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“ აბელ ენუქიძე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — კამერული მუსიკის კონცერტი. 21.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი „ერთხელ არჩეული გზა. 1887-1893 წლები“. ფილმი II — „შეხვედრა“ (მ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ვედრება“.

მეორე პროგრამა. 16.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თეატრალური ისტორია“. 17.30 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 18.15 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 18.25 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ბაკური

20 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — პორგი და ბესი (აბონ. № 26, მე-5 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კონცერტი ორი ვიოლინოსათვის ალმოსავლური საკრავების თანხლებით; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გარეგნა; მინიატიურების სახელმწიფო — პაეშანი ხეზე ანუ ბესარონის თავგადასავალი; ბერიკონი — როკ-ენციკლოპედია „თეატრონი“; მეტეხის — მგზავრები; მოზარდ მაყურებელთა ქართული (რკინიგზელთა სახლის შენობაში) — ხალამუნა (აბონ. № 35. დასაწყისი 5 ს., აბონ. № 39. დასაწყისი 7 ს.).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-98-03, 99-03-09, ᲐᲛᲮᲐᲠᲝᲕᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-57-61, ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ — 93-20-84, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-15-70, ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲘᲡ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-68.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲒᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-89; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-86; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-57; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲘ—2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲣᲚᲘᲩᲐᲕᲠᲘᲐ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 22-66; ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЕ 06923 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲧᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲝᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲐ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ. ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲘᲝᲜᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ 29.